



**შპს გურამ თავართკილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართლის ფაკულტეტი
სამართლის სამაგისტრო პროგრამა

პასუხისმგებლობის ცალკეული სახეები სამოქალაქო სამართალში
ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

დემური ხვედელიძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:

მოწვეული სპეციალისტი

დავით სუხიტაშვილი

თბილისი

2021

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი I ლიტერატურის მიმოხილვა	7
თავი II სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი თეორია.....	8
2.1 სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცნება	12
2.2 სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლები და პირობები.....	16
თავი III პასუხისმგებლობა ცალკეული სამართალდარღვევისთვის.....	23
3.1. პასუხისმგებლობა ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.....	23
3.2 სადაზღვევო პასუხისმგებლობა.....	35
თავი IV პასუხისმგებლობის სხვა სახეები	44
4.1 სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა, მათი ერთიანობა და განმასხვავებელი ნიშნები.....	45
4.2 პასუხისმგებლობა მესამე პირის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის.....	50
4.3 წილადი, სოლიდარული და სუბსიდიური პასუხისმგებლობა.....	52
თავი V. კვლევის შედეგები.....	56
დასკვნა	57
გამოყენებული ლიტერატურა.....	58

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი შეეხება, პასუხისმგებლობის ცალკეულ სახეებს სამოქალაქო სამართალში, სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველებს ასევე მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებს, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით გამოწვეულ ზიანს, და პასუხისმგებლობას მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შეუსრულებლობისთვის, რომელიც შედგება, 5 თავისგან, 7 ქვეთავისგან, დასკვნისგან და ბიბლიოგრაფიისგან.

პირველ თავში შევხვებით იმ ლიტერატურას, რომელიც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მაქვს გამოყენებული, მეორე თავი შეეხება სამოქალაქო პასუხისმგებლობით გამოწვეულ ზიანს, მიზეზობრივ კავშირს და ბრალს. მესამე თავი შეეხება პასუხისმგებლობას ცალკეული სამართალდარღვევისთვის, მეოთხე თავი შეეხება პასუხისმგებლობის სხვა სახეებს, ხოლო მეხუთე თავში მოცემულია კვლევის შედეგები.

ნაშრომის დასკვნაში კი განხილული იქნება შეჯამება სამოქალაქო ასპექტებისა.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას, რომელიც დაყოფილი არის თავებად და ქვეთავებად, ასევე მოიცავს დასკვნას და გამოყენებულ ლიტერატურას.

annotation

The present paper deals with certain types of liability in civil law, the grounds of civil liability as well as unlawful acts, damages caused by unlawful acts, and liability for non-performance of unlawful acts, which consists of 4 chapters, 6 subsections, a conclusion and a bibliography.

In the first chapter I touched on the literature I have used while working on my master's thesis, in the second chapter I deal with damages caused by civil liability, causation and blame. The third chapter deals with liability for individual offenses, while the fourth chapter deals with other types of liability.

The conclusion of the paper will discuss the summary of civil aspects.

The paper includes an annotation, table of contents, introduction, main topic, which is divided into chapters and subsections, as well as a conclusion and references.

შესავალი

სამოქალაქო სამართალწარმოებიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისათვის დამახასიათებელია რომ ის, როგორც წესი, ნებაყოფლობით სრულდება, რაც დიდად უწყობს ხელს სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას; ხოლო როდესაც მხარე არ ასრულებს მოვალეობას ან არაჯეროვნად ასრულებს მას, საქმე გვექნება ვალდებულების დარღვევასთან. ვალდებულების შეუსრულებლობა უპირველესად კრედიტორს აყენებს ზიანს, თუმცა დღევანდელ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მთლიანად სამოქალაქო საზოგადოებას რამდენადაც წარმოების ერთ რგოლში წარმოშობილ შეფერხებას შეუძლია, ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს მთელ წარმოებაზე, წარმოების შეჩერებამ კი გავლენა მოახდინოს ბაზარზე და ა.შ 21-ე საუკუნეში უფრო მამტაბურ ხასიათს ღებულობს ხალხებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 2010 წლის ზაფხულში რუსეთში ხორბლის მოსავლის დიდი ნაწილი ხანძარმა გაანადგურა. მიუხედავად იმისა რომ საქართველოს ბოლო წლებში ხორბალი რუსეთიდან არ შემოაქვს, სტიქიით გამოწვეული უარყოფითი შედეგი საქართველოს ეკონომიკაზეც აისახა, რადგან, როგორც იყო ნავარაუდები, მსოფლიოში ხორბლის ფასმა აიწია. აღნიშნული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით ვალდებულების შეუსრულებლობისათვის და სხვა სახის სამოქალაქო სამართალდარღვევისათვის შემოღებულია სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა სანქციის სახით. მაგრამ სამოქალაქო სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული ყოველგვარი სანქცია, სამოქალაქო პასუხისმგებლობა არ არის.¹

თემის აქტუალობა: თემა აქტუალურია იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო ათწლეულებში თავი იჩინა და დიდი ყურადღება დაეთმო სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემებს, რომელიც ორ ჭრილში განიხილება: აქტიურ ანუ პოზიტიურ და რეტროსპექტულ ანუ ნეგატიურ ასპექტში. ასპექტში პასუხისმგებლობის განხილვა გულისხმობს ყოველგვარი ვალდებულებების შესასრულებლად განუხრელ, მკაცრ, ყველა შესაძლო ინიციატივის განხორციელებას.

კვლევის მიზნები: კვლევის მიზანს წარმოადგენს პასუხისმგებლობის ცალკეული სახეები სამოქალაქო სამართალში, თითოეული ასპექტის განმარტება და სამოქალაქო სამართლის როლი დღევანდელ ცხოვრებაში.

კვლევის ამოცანები: სამოქალაქო სამართალში პასუხისმგებლობის ცალკეულ სახეებში გადმოცემულია, პასუხისმგებლობის ცნება, ზოგადი მიმოხილვა და პასუხისმგებლობა

¹ დ.სუხიტაშვილი, თ.სუხიტაშვილი „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ.2016 წ. გვ. 9

დაკისრებულ ვალდებულებაზე. ნაშრომში გადმოცემულია, თითოეული დეტალი და განმარტება, რათა ადამიანების ცხოვრება უფრო მარტივი გახადოს სამოქალაქო სამართალმა.

კვლევის მეთოდები : თემაზე მუშაობისას, გამოყენებულია სამართლებრივი მეთოდი, რითიც შევამოწმე თითოეული ასპექტი, რაც გადმოცემულია თეორიულ მასალაზე დაყრდნობით.

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეხებოდა პასუხისმგებლობის ცალკეულ სახეებს სამოქალაქო სამართლის გარშემო. ასეთები იყო: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ავტორთა კოლექტივი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, ბ.ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი 2, ავტორთა კოლექტივი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, ზ. ძლიერაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ავტორთა კოლექტივი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, ზ.ახვლედიანის ვალდებულებითი სამართალი, დ. სუხიტაშვილისა და თ.სუხიტაშვილის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, შ. ჩიკვაშვილის მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, გ. ნაჭყეზიას ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, ავტორთა კოლექტივის სახელშეკრულებო სამართალი გიორგი ჯუღელის რედაქტორობით. ზემოთ ჩამოთვლილი წიგნების უმრავლესობა გამოცემულია 1998-2019 წლების შუალედში.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალა, კერძოდ: საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

ქართული ლიტერატურის მსგავსად, გამომადგა და დახმარება გამიწია ინტერნეტ მასალამ.

თავი II სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი თეორია

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა უპირველესად არის სანქცია სამართალდარღვევისათვის. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაცია სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი საშუალებებით ხორციელდება. სამოქალაქო პასუხისმგებლობის საშუალებებია დელიქტურ ვალდებულებებში დაზარალებულისათვის, ხოლო სახელმწიფოებში ურთიერთობებში კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა; ფულადი ვალდებულების დროული შეუსრულებლობისათვის მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პროცენტის გადახდის მოთხოვნა (სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი); ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება და სხვა.²

სანქციის გამოყენება, როგორც წესი, სახელმწიფოებრივ იძულებაში ვლინდება. სახელმწიფოებრივი იძულება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ აუცილებელ მახასიათებლადაა მიჩნეული. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის სახელმწიფოებრივი იძულება ორ ფუნქციაში ვლინდება: 1. პასუხისმგებლობის საშუალებებს სახელმწიფო სამართლის ნორმებით დაადგენს და 2. სახელმწიფოებრივი იძულება სულაც არ ნიშნავს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის განხორციელება სახელმწიფოებრივი იძულების გამოყენებით - სამართალდამცავი ორგანოების უშუალო მონაწილეობით განხორციელდეს, როგორც ამას ადგილი აქვს სისხლის სამართალში. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საშუალებების რეალიზაციის უზრუნველყოფა სახელმწიფოებრივი იძულებით გულისხმობს, რომ იგი სამართალდამრღვევს შინაგანად აშაადებს იმისათვის, რომ კეთილი ნების საფუძველზე აანაზღაუროს ზიანი და მხოლოდ მას შემდეგ რაც ასეთი ნება არ იქნება გამოვლენილი, პასუხისმგებლობის საშუალებების რეალიზაცია მოხდეს იძულებით. სამოქალაქო პასუხისმგებლობის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სამართალდარღვევით გამოწვეული შედეგის აღმოფხვრა შესაძლებელია იძულების გარეშეც სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოების ჩაურევლად თვით სამართალდამრღვევის კეთილი ნების გამოვლენის შედეგად.³

სხვა შემთხვევაში შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სამართალდამრღვევის მიმართ სანქცია კრედიტორმა გამოიყენოს სახელმწიფოებრივი იძულების უშუალო ჩარევის გარეშე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 256-ე მუხლის თანახმად, გირავნობა უზრუნველყოფს როგორც ძირითად მოთხოვნას, ისე პროცენტს, პირგასამტეხლოსა და სხვა, ანუ გირავნობის საგანი შეიძლება გამოყენებულ იყოს პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფადაც. ამავე

² გ. ნაჭყეაბია, ბრალი, როგორც სოციალური კატეგორია, თბ.2001 წ, გვ. 17

³ იქვე, გვ. 18

კოდექსის 283-ე მუხლის თანახმად კი დამგირავებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მოგირავნე თვითონ არის უფლებამოსილი, სახელმწიფოებრივი იძულების გამოყენების გარეშე, მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია ძირითადი მოთხოვნისა და ზიანის ანაზღაურების მიზნით, რაც აღქმული უნდა იყოს სამოქალაქო სანქციად.⁴

სამოქალაქო პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი თავისებურებაა, რომ პასუხისმგებლობის საშუალებების რეალიზაცია სამართალდამრღვევისათვის უარყოფით შედეგს გამოიწვევს. ამის საწინააღმდეგოდ სამართლის სპეციალისტების მიერ, არცთუ იშვიათად, გამოთქმულია შეხედულება, როცა მოვალის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ზემოქმედების ზომები გაიგივებულია პასუხისმგებლობასთან, რაც გაუმართლებლად ზრდის პასუხისმგებლობის სფეროს. ამგვარ დასკვნებს ხშირად ადგილი აქვს მაშინ, როცა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოვალის მიმართ იძულებით ღონისძიებებს გამოიყენებენ. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი ელემენტია მისი ნორმატიული უზრუნველყოფა. პასუხისმგებლობის ნორმატიული უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ პასუხისმგებლობის საშუალებები დადგენილია სამართლებრივი ნორმებით. მის გარეშე არავითარი იურიდიული და მათ შორის არც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება არსებობდეს.⁵

რამდენადაც სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობები შეადგენს, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაკუთრებული თავისებურებაც მის ქონებრივ და პირად არაქონებრივ ხასიათში ვლინდება. თვალს თუ გადავავლებთ სპეციალურ ლიტერატურას, ადვილად აღმოვაჩენთ, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი პირადი არაქონებრივი ხასიათი, იურიდიული პასუხისმგებლობის სხვა ელემენტების ჩრდილში იყო მოქცეული. შემდგომ წლებში სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დეფინიციაში ქონებრივი ხასიათის ელემენტთან ერთად გაჩნდა ელემენტები, რომლებიც ზოგადად, მაგრამ სრულად გამოხატავენ სამოქალაქო სამართლის მოწესრიგებულ ურთიერთობათა ხასიათს - როგორც ქონებრივის, ისე არაქონებრივის. პროფესორი ნ. ეგოროვი სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს როგორც სამართლებრივი ვალდებულების ან დაკისრებას ან ჩამორთმევას. ამასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია გააჩნია მ.მალეინას . იგი წერს - სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება განვმარტოთ, როგორც

⁴ გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური კატეგორია, თბ.2001 გვ. 18

⁵ იქვე, გვ. 19

სამართალურთიერთობა, რომელიც სამართალდარღვევისათვის გამოიწვევს როგორც ქონებრივ ასევე არაქონებრივ შედეგებს.⁶

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის კანონით დადგენილი იძულებითი ღონისძიება(სანქცია), რომლის რეალიზაცია უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით და სამოქალაქო სამართალდამრღვევისათვის გამოიწვევს ქონებრივი ან/და პირადი არაქონებრივი ხასიათის უარყოფით შედეგს, რაც გამოიხატება დამატებითი სამოქალაქო ვალდებულებების დაკისრებაში სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობის დასახელებულ ელემენტებს ვერ ექნებათ სრულყოფილების პრეტენზია იმ გაგებით, რომ სამოქალაქო სამართალი ცნობს ისეთ გამონაკლისებს, როცა პასუხისმგებლობა დადგება მართლზომიერი მოქმედების შედეგად, კერძოდ, უკიდურესი აუცილებლობის პირობებში მიყენებული ზიანის ანაზღაურება; სამოქალაქო პასუხისმგებლობის საშუალებების რეალიზაცია, ცალკეულ შემთხვევებში, განხორციელდება სახელმწიფოებრივი იძულების უშუალო ჩარევის გარეშე თვით სამართალდამრღვევის კეთილი ნების გამოვლენით ან მას განახორციელებს კრედიტორი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.⁷

თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალური ნორმებით რეგულირება აუცილებლად ითვალისწინებს სოციალურ პასუხისმგებლობას მისი რეტროსპექტული მნიშვნელობით, როგორც სოციალური ნორმების საწინააღმდეგო მოქმედების შედეგი. სამოქალაქო საზოგადოებაში, სადაც საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ საშუალებად სამართალთან ერთად მორალიც გვევლინება, შესაბამისად არსებობს როგორც მორალური, ისე იურიდიული პასუხისმგებლობის სახეები. ნებისმიერი რეტროსპექტული პასუხისმგებლობის მიზანი სოციალური ნორმების დაცვის უზრუნველყოფაა, ზემოქმედებაა თითოეული პიროვნების ცნობიერებაზე, რათა მისი შეგნებული მოქმედება სოციალური ნორმები შესაბამისობაში იყოს მოყვანილი. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახის რეტროსპექტული პასუხისმგებლობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ურთიერთზემოქმედებენ. მათ შორის ბევრი საერთო არსებობს. მაგალითად, როგორც წესი, სამოქალაქო პასუხისმგებლობისას პირი განიცდის მორალურ- ანუ საზოგადოების მხრივ მისი და მისი ქმედების უარყოფით შეფასებასაც, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს სამოქალაქო და მორალური პასუხისმგებლობის ერთიანობას. სამოქალაქო პასუხისმგებლობა სოციალური პასუხისმგებლობის განსაკუთრებული სახეა. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის

⁶ გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური კატეგორია, თბ.2001, გვ. 24

⁷ იქვე, გვ. 25

მნიშვნელობა და ადგილი, პასუხისმგებლობის სხვა სახეებს შორის სამოქალაქო სამართლის საგანსა და მეთოდთან ერთად მისი ფუნქციით განისაზღვრება. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუნქცია, ისევე როგორც ყველა სახის იურიდიული ფუნქცია, გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედებაში. ლიტერატურაში სამართლის ფუნქციის ცნება განმარტებულია, როგორც სამართლის მოქმედება, მისი აქტიურობა. " ნებისმიერი სისტემური ობიექტის ფუნქციის კვლევისას პირველი, რაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ და რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ფუნქციის თემები შინაარსის სწორად გასააზრებლად არის ის, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისტემური ობიექტის აქტივობასთან, მის მოქმედებასთან. სწორედ მოქმედებაში ავლენს სისტემა თავის თვისებებს, ასრულებს იმ როლს, რისთვისაც ის შეიქმნა, ახორციელებს თავის ფუნქციებს. აქედან გამომდინარე, ფუნქციის კვლევაში ძირითად, ამოსავალ მეთოდოლოგიურ პრინციპად უნდა მივიჩნიოთ დებულება, რომლის მიხედვითაც სამართლის ფუნქციის ცნება, უწინარეს ყოვლისა, ასახავს სამართლის მოქმედებას, განხორციელებას. სამართლის განხორციელება, მოქმედება, როგორც ცნობილია, მდგომარეობს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მის ზემოქმედებაში. შეიძლება ითქვას, რომ ფუნქციის სამართლებრივი ცნება სრულიად შესაბამეა ზოგადად ტერმინი " ფუნქციის" ეტიმოლოგიურ შინაარსს. ტერმინი ფუნქცია ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს შესრულებას, განხორციელებას, საქმიანობას, მიმართებათა მოცემულ სისტემაში რაიმე ობიექტის თვისებათა გარეგან გამოვლენას. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო სამართალი მთლიანად სამართლის სისტემის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენს, მისთვის დამახასიათებელია სამართლის სისტემის (და მასში შემავალი ცალკეული დარგების) ზოგადი ნიშნები. სამართლის საერთო სისტემაში სამოქალაქო სამართლის ფუნქციის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პრაქტიკული, ისე მეცნიერული თვალსაზრისით. მეცნიერული თვალსაზრისით სამოქალაქო სამართლის, როგორც დარგის ფუნქციის, სამართლის სისტემაში განხილვა, პროფესორი გრიბანოვი, უპირველესად აუცილებელია ჩვენ სამართლის სისტემის როლისა და ამოცანების სწორი გაგებისათვის. სამართლის სტრუქტურის ამოცანების გადაწყვეტა სისტემური მიდგომით უზრუნველყოფს ცალკეული ფუნქციონალური თავისებურებების გამოვლენას, სისტემის ყველა ელემენტის ამოცანებისა და შესაბამისად სამართლის ცალკეული დარგების ფუნქციის გამოვლენას, სამართლის ეფექტურ მოქმედებას. სისტემაში ფუნქციონალური კრიტერიუმების გამოვლენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ხშირად კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას საჭირო ხდება სამართლის ცალკეული დარგების

ურთიერთმოქმედება, რისთვისაც აუცილებელი წინაპირობა სამართლის სისტემაში მისი ცალკეული დარგებისათვის ფუნქციების გამოჯვნა.⁸

2.1 სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცნება

პასუხისმგებლობის ცნება შეიძლება განვიხილოთ ორ ასპექტში, რეტროსპექტული (ნეგატიური) პასუხისმგებლობა, მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არის პასუხისმგებლობა წარსულში ჩადენილი სამართალდარღვევისათვის (ლათ. რეტრო - უკან და სპექტო - მზერა), ამავე დროს პასუხისმგებლობის საშუალებებში ვლინდება საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეაქცია სუბიექტის არამართლზომიერი მოქმედების გამო.⁹

პასუხისმგებლობის ორ ასპექტში განხილვას მომხრეები გამოუჩნდნენ ქართულ სამართალში. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, გურამ ნაჭყებია წერს: „პოზიტიური პასუხისმგებლობა მართვას მოითხოვს ზოგადრეგულატიურ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, როგორც ამ პასუხისმგებლობის იურიდიულ ფორმას. ამ ვითარებაში სუბიექტი მართლაც მოქმედებს მართლზომიერად, სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის შეგრძნებით... პოზიტიური პასუხისმგებლობის როლი განსაკუთრებით დიდია, რადგან იგი მართლზომიერი ქმედების განხორციელებისა და დანაშაულთა თავიდან აცილების ეფექტური საშუალებაა“.¹⁰

მოგვიანებით იურიდიული პასუხისმგებლობის ორგვაროვან კონსტრუქციას მრავალი ავტორი გამოეხმაურა და გააკრიტიკა. ვ. სმირნოვი და ა. სობჩაკი აღნიშნავენ, რომ სოციალური პასუხისმგებლობის ორი სახის აღიარება არ ნიშნავს, რომ ასეთივე ორი სახის იურიდიული პასუხისმგებლობის გაიგივება არ შეიძლება. ისევე, როგორც განვასხვავებთ სოციალურ და სამართლებრივ ნორმებს, ასევე უნდა განვასხვავოთ სოციალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის პოზიტიურ ასპექტში განხილვა არის საზოგადოებაში სუბიექტის მორალური (ზნეობრივი) ქცევის წესი და ამიტომ იგი არ შეიძლება მტკიცებულებად იყოს გამოყენებული. პოზიტიური პასუხისმგებლობა გულისხმობს ყველა სუბიექტის გრძნობას საზოგადოების წინაშე. იურიდიული პასუხისმგებლობის ორ ასპექტში განხილვა მიუღებელი აღმოჩნდა ასევე ი. სამოშენკოსა და მ.ფარუკშინისათვის, ს. ბრატუსისათვის, ნ. ეგოროვისათვის და სხვა, რომლებიც თვლიან, რომ იურიდიული

⁸ გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური კატეგორია, თბ.2001, გვ 13.

⁹ დ.სუხიტაშვილი, თ.სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ.2016 წ. გვ.10.

¹⁰ გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური კატეგორია, თბ.2001 წ. გვ. 40,42.

პასუხისმგებლობა წარსულში ჩადენილი სამართალდარღვევისათვის და არც პრაქტიკას და არც თეორიას არ ამეცს გადასინჯვის საფუძველს.¹¹

ზემოაღნიშნულ ავტორთა შეხედულებათა გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულების შესრულება პოზიტიური გაგებით და შესაბამისად პოზიტიური პასუხისმგებლობის სოციალურ თუ სამართლებრივ ჭრილში განხილვის ცალსახა პასუხი არ არსებობს. ამის დადასტურება ასევე ცნობილი გერმანული კომპარატივისტების კონრად ცვაიგერტისა და ჰაინ კოტცის დასკვნები. ისინი ხელშეკრულების დარღვევის ორ აუცილებელ ალტერნატივაზე საუბრობენ. ესენია: ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა და შესრულების ვადის გადაცილება.¹²

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნების განსაზღვრისათვის საჭიროა თვით სანქციის არსში გარკვევა. სამოქალაქოსამართლებრივი სანქცია არის კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული შედეგი, რომელიც უზრუნველყოფს უფლების დაცვას ან პასუხისმგებლობის საშუალებების რეალიზაციას. სამართალში ტერმინი სანქცია სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. სამართლის თეორიაში სანქციას განიხილავენ როგორც სამართლის ნორმის სტრუქტურის შემადგენელ ერთ-ერთ ელემენტს. სამართლის ნორმის სანქციაში იგულისხმება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი. სამართლის ნორმის სანქციას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლი დადგენილი გამყიდველის მოვალეობა, რომ გამოასწოროს გაყიდული ნივთის ნაკლი; საერთო საკუთრების მონაწილეებს შორის სასამართლოს მიერ ქონების გაყოფა და სხვა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს სანქციებს სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან საერთოდ არაფერი აქვთ.¹³

სამოქალაქო უფლების დაცვის საშუალებები მიმართულია დარღვეული თუ სადავოდ ქცეული სამოქალაქო უფლებების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. უფლების დაცვის საშუალებების რეალიზაციას ცალკეულ შემთხვევებში ახორციელებენ საერთო სასამართლოები, კერძო არბიტრაჟები, უპირატესად კი უფლების დაცვის საშუალებების რეალიზაციას თვით მხარეები ახორციელებენ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ იმის მიუხედავად თუ ვინ განახორციელებს დაცვის საშუალებებს, ისინი უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით. სამოქალაქო სამართალი იცნობს უფლების დაცვით ისეთ საშუალებებს როგორცაა: სახელის უფლების აღიარება; პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის უფლება (სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი); ასევე ხელშემშლის აღკვეთის მოთხოვნა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი); შემკვეთის

¹¹ გ. ნაჭყეია, ბრალი, როგორც სოციალური კატეგორია, თბ.2001, გვ. 11

¹² იქვე, გვ. 12

¹³ იქვე, გვ. 14

მოთხოვნით მენარდის მიერ დამატებითი მოქმედების შესრულება (სამოქალაქო კოდექსი 641-ე მუხლი) და სხვა.¹⁴

სამოქალაქო პასუხისმგებლობა ზოგადად იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩევა. ამასთან სამოქალაქო პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელია იურიდიული პასუხისმგებლობისათვის ჩვეული ზოგიერთი ნიშანიც. სამართლის თეორიაში იურიდიული პასუხისმგებლობა რამდენიმე ნიშნით ხასიათდება. აღნიშნავენ, რომ სამართალდამრღვევის მიმართ სამართლის ნორმის სანქცია უპირატესად გამოყენებული უნდა იყოს სამართალდამრღვევის მიმართ, როგორც წესი, სამართალდამცავი ორგანოების მიერ, მათთვის კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში; იურიდიული პასუხისმგებლობა არის სამართალდამრღვევისათვის სპეციფიკური ვალდებულება, რომელმაც კანონის თვალსაზრისით უღირსი საქციელის გამო უნდა განიცადოს ქონებრივი ან/და პირადი ხასიათის უარყოფითი შედეგი.¹⁵

როგორც შესავალშივე ითქვა, სამოქალაქო პასუხისმგებლობა პირის მიერ საკუთარ მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე პასუხისგებას გულისხმობს, რაც შეიძლება მას დაეკისროს როგორც კანონის ძალით, ისე ნებაყოფლობით. წარმოუდგენელია საზოგადოებაში ცხოვრება მის წევრებთან ვალდებულებითი ურთიერთობების დამყარების გარეშე. „ვალდებულება სამართლებრივი კავშირია, რომელიც ბოჭავს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს... კანონმდებლობა ვალდებულებას განსაზღვრავს, როგორც პირთა შორის ურთიერთობის სამართლებრივ ფორმას, რომელიც ადგენს მოვალისათვის სპეციალურ ქცევის წესს კრედიტორის ინტერესების მიხედვით, კერძოდ, შეასრულოს მოქმედება ან თავი შეიკავოს მისაგან“.¹⁶ ზოგიერთი მოსაზრებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა გვევლინება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების დროს სანქციის სახით და იგი არ გულისხმობს ვალდებულების დამრღვევი პირისათვის იმის დაკისრებას, რაც მას ადებული ვალდებულების შესაბამისად ისედაც ევალებოდა (შესრულების ვალდებულება), არამედ, იგი მოიცავს ვალდებულების დამრღვევი პირისათვის ძირითადი ვალდებულების შესრულებაზე დამატებით მოქმედებას, სანქციას.¹⁷ სამოქალაქო პასუხისმგებლობა იმგვარ ქონებრივ სანქციებს წარმოადგენს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სამართალდამრღვევზე იძულებითი ზეგავლენა მისი ქონებით დაზარალებული პირისთვის

¹⁴ გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური კატეგორია, თბ.2001, გვ.14

¹⁵ იქვე, გვ. 15

¹⁶ ქ. ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, გვ. 79.

¹⁷ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1999, გვ. 66

ზიანის ასანაზღაურებლად¹⁸, ამგვარი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურების, პირგასამტეხლოს დაკისრების ან სხვა ფორმით.¹⁹ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი გამოხატულებაა სამართალდამრღვევის მიმართ განსაზღვრული უარყოფითი შედეგების დადგომა, ქონებრივი ან პირადი უფლებების შეზღუდვით.²⁰

სამოქალაქო პასუხისმგებლობა შესაძლოა დაზღვევის ობიექტად წარმოგვიდგეს. იგი იურიდიული პასუხისმგებლობის სახეებიდან ერთადერთია, რომელიც დაზღვევას ექვემდებარება. სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარდა დაუშვებელია სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა. მაგ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ან თუნდაც ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა სამართალდამრღვევის პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე წარმოუდგენელიც კია და მისი ნებისმიერი ფორმით არსებობა აუცილებლად წინააღმდეგობაში მოვიდოდა საჯარო ინტერესთან და მართლწესრიგთან. „პასუხისმგებლობა დაზღვეულია ყველა კერძო და პროფესიულ სფეროში, როგორც მუდმივი შეხსენება ჩვენი საქციელისთვის, და ამავე დროს ზიანის ანაზღაურებისა ან კომპენსაციის მოთხოვნებისგან ჩვენი აქტივების დასაცავად.“ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნების განმარტება შეუძლებელია მისი მიზნის განსაზღვრის გარეშე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნების პირდაპირ განმარტებას 839-ე მუხლით გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ მუხლის სათაურია „ცნება“, იგი უფრო მეტად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ძირითადი მიზნის განმსაზღვრელად გვევლინება. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანია „დამზღვევი გაათავისუფლოს იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო ეკისრება.“ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნებას განსაზღვრავს სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ გერმანიის კანონის მე-100 პარაგრაფი, რომლის თანახმადაც, „პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია დაზღვევის პერიოდში მომხდარი ფაქტისთვის პოლისის მფლობელს (დამზღვევს) აუნაზღაუროს მესამე მხარის მიერ მოთხოვნილი ზიანი, რომლის გადახდაც დამზღვევს მისთვის ევალებოდა.“²¹

იურიდიული პასუხისმგებლობა არ არის რიგითი ვალდებულება. ის აუცილებლად მოიცავს დასჯის ელემენტებსაც. თუკი პასუხისმგებლობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ

¹⁸ ლ. გვარამია, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნალი სამართალი, N10,11,12, 2000, გვ. 85-86.

¹⁹ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ, 1999, გვ. 64.

²⁰ ბ. ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის., თბ., 1989, გვ. 11.

²¹ ბ. ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის, თბ. 1989, გვ. 15

პირმა განიცადოს ქონებრივი ან პირადი ხასიათის უარყოფითი შედეგი, მაშინ პრინციპულად დგება საკითხი, რომ ასეთი შედეგი დადგეს მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგად. სამართლის თეორიაში იურიდიული პასუხისმგებლობის დამახასიათებელ ნიშნებად მიჩნეულია:

1. ციფრობრივი იძულება სამართლის ნორმით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების სახით;
2. სუბიექტის მიერ არამართლზომიერი, კანონის თვალსაზრისით უღირსი საქციელის ჩადენა;
3. სამართალდამრღვევის მიმართ პასუხისმგებლობის საშუალების გამოყენება სამართალდამცავი ორგანოების მიერ, კანონით მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში;
4. სამართალდამრღვევისათვის ქონებრივი და პირადი ხასიათის უარყოფითი შედეგის დადგომა;
5. ბრალეული მოქმედებების სავალდებულოობა;
6. დასჯის ელემენტის აუცილებლობა.²²

2.2 სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლები და პირობები

ნებისმიერი არაკანონიერი ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იმყოფებოდეს დამდგარ შედეგთან. მიზეზ-შედეგობრიობას უპირატესობა ენიჭება, რადგან ჰიპოთეზის სახით ზიანის გამომწვევი ქმედების გარეშე ზიანი არ დადგებოდა. გარდა ამისა, არაკანონიერი ქმედება და მიყენებული ზიანი პროპორციული უნდა იყოს. მაშასადამე, წინასწარი შეფასებით, ზიანის გამომწვევი ქმედება უნდა შეესაბამებოდეს დამდგარ ზიანს. ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძვლოა იმ შემთხვევაში, თუ დამდგარი ზიანი გამოწვეულია გაურკვეველად ურთიერთდაკავშირებულ გარემოებათა გამო.

ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში. სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული სახეა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ანუ პასუხისმგებლობა გამოიხატება დამრღვევი მხარის ვალდებულებაში, მიყენებული ზიანი ანაზღაუროს ნატურით ან ფულადი სახით. ზიანის ანაზღაურება მიეკუთვნება მეორად/დამატებით მოთხოვნებს და იწვევს ქონებრივი ან

²² იქვე გვ. 16

არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების დადგომას.ქონებრივი პასუხისმგებლობის დასაკირებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, კერძოდ: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; სამართალდამრღვევის ბრალი.

კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება,თუ არსებობს ზიანის ანაზღაურების შემდეგი საფუძვლები:

- მართლსაწინააღმდეგო ქმედება
- ზიანი
- მიზეზობრივი კავშირი
- ბრალი

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზიანის ანაზღაურებისთვის არ არის აუცილებელი ბრალისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა, ასეთია ცალკეული დელიქტები, როგორცაა სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ზიანის ანაზღაურება, რადიაციული ნივთიერების, შენობებისა და სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე ზიანის დადგომის შემთხვევები.მოვალეს არ ეკისრება ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისთვის, როდესაც სახეზე არ არის პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელი ყველა ელემენტი.

მაგ: „A“-ს უნდა მიეწოდებინა „B“-ისთვის 100 ტონა ხორბალი 2016 წლის 10 მაისამდე. მან ვალდებულების ჯეროვნად შესრულება შეძლო მხოლოდ 2016 წლის 25 მაისს. ვადის დარღვევა განპირობებული იყო დაუძლეველი ძალით. „B“-ს მიაღდა 3000 ლარის ზიანი. მოცემულ შემთხვევაში, სკ-ის 394.1-ე და 401-ე მუხლების საფუძველზე, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ზიანის ანაზღაურებისთვის.²³

ზიანი: სამოქალაქო სამართალში ზიანის ცნებაში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ მას არ მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს „სახელშეკრულებო“ და „არასახელშეკრულებო“ ზიანს. სახელშეკრულებო ზიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევის შედეგია, ამ დროს მხარეები იმყოფებიანგანსაზრვრულ სამოქალაქო–სამართლებრივ ურთიერთობაში, პასუხისმგებლობა ამ

²³ <https://blh.com.ge/forums/> (უკანასკნელად ნანახი იქნა), 16.06.21

ურთიერთობის დარღვევით განისაზღვრება ამ ურთიერთობის დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის განისაზღვრება ხელშეკრულების პირობებით ან იმ კანონით, რომელიც არეგულირებს მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო არასახელშეკრულებოა ისეთი ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როცა მხარეები არ იმყოფებიან ვალდებულებით ურთიერთობებში.²⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს ქონებრივ და არაქონებრივ (მორალურ) ზიანს. ზიანი შეიძლება მიეყენოს პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან პირის ქონებას. სამართალდარღვევის მატერიალური (ეკონომიკური) შედეგი (ქონების შემცირება), რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა, სამოქალაქო სამართალში იწოდება ქონებრივ ზიანად. მორალური ზიანის შინაარსია ადამიანის ფიზიკური ან სულიერი ტრამვა, რომელსაც ფულადი ეკვივალენტი არ მოემბნება. მისი ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.²⁵

გ) მიზეზობრივი კავშირი მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის სამართაკლდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია მიზეზობრივი კავშირი მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. „სსკ– ის თანახმად: „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოსდგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.²⁶

ქმედების მართლწინააღმდეგობა: მართლსაწინააღმდეგო ქმედება არის ისეთი ქმედება, რომელიც არღვევს მართლწესრიგს. მართლწესრიგი ძალიან ფართო ცნებაა, იგი მოიცავს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ქცევისა და ურთიერთობების სისტემას, რომელიც წესრიგდება არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით, არამედ ადათ-წესებით, ტრადიციებითა და ზნეობრივი ნორმებით. ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე, საუბარია არა მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე, რაც თავის მხრივ მართლწინააღმდეგობის ერთ-ერთი კატეგორია, არამედ საუბარია მართლწესრიგის დარღვევის უფრო ფართო ცნებაზე. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია პირის ქმედება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რაზეც ვისაუბრებთ შემდეგ პოსტებში. ქმედება მოიცავს, როგორც მოქმედებას, ისე უმოქმედობას. მოქმედება არის დამრღვევის სხეულით განხორციელებული აქტიურობა (მაგ: ქონების დაზიანება, ჯანმრთელობის დაზიანება და ა.შ.).

²⁴ შ. ჩიკაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტომი 2, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, თბ. 2011, გვ. 378

²⁵ იქვე, გვ. 380

²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 401. (2019)

უმოქმედობის გამო პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, როდესაც პირს გააჩნდა მოქმედების ვალდებულება და მან ვერ უზრუნველყო მოქმედების ჯეროვნად შესრულება.

მართლწინააღმდეგობა სამართალდარღვევის ობიექტური ნიშანია და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალე აცნობიერებდა თუ არა თვის მოქმედების სამართლებრივ ხასიათს. მოვალე ბრალეულად დაარღვევს თვის ვალდებულებას, თუ ბრალის გარეშე, ვალდებულების დარღვევა მაინც მართლსაწინააღმდეგო იქნება. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით სხელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით უფლებას არღვევს, ხოლო არასახელშეკრულებო (დელიქტურ) ურთიერთობებში ზიანის მიმყენებლის მოქმედებით ირღვევა აბსოლუტური უფლებები.²⁷

ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლწინააღმდეგობა სამართალდარღვევის ობიექტური ნიშანია და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე ანუ აცნობიერებს თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს.

მიზეზობრივი კავშირი: მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. თუ მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, არსებული ზიანი ანაზღაურდება სრულად, მიუხედავად იმისა, რა ოდენობისაა ეს ზიანი ან რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობა დამდგარ შედეგში. სასამართლოს მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, აუცილებელია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, მოპასუხე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“ აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იყენებს ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიას, იგივე უშუალო მიზეზობრიობის თეორიას. ადეკვატურია ისეთი მოქმედება, რომლის გარეშეც ზიანი არ დადგებოდა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, რომ არა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი არ დადგებოდა იმ ფორმით, იმ დროს და იმ ადგილას, როგორც იგი დადგა. როდესაც ზიანი დგება არა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, არამედ მომეტებული საფრთხის რეალიზაციის

²⁷ლ.ჭანტურია, ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2001 წ., გვ. 364

შედეგად, ასეთ შემთხვევაში მომეტებული საფრთხის წყაროდან მომავალი საფრთხის რეალიზაცია უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში დამდგარ ზიანთან, რათა მასზე პასუხისმგებელ პირს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება. მაგ: სამოქალაქო კოდექსის 999-ე, 1000-ე და ა.შ. მუხლები. მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების უშუალო შედეგს.

თუ მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, არსებული ზიანი ანაზღაურდება სრულად, მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა ეს ზიანი ან რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობა დამდგარ შედეგში. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც კრედიტორი თავადაც არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში ზიანის რისკი კრედიტორზე და მოვალეზე პასუხისმგებლობის პროპორციულად გადანაწილდება. სსკ-ის 326-ე მუხლის თანახმად, წესები სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხოლო სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად კი, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

მეცნიერებამ მიზეზობრივი კავშირის მრავალი თეორია შეიმუშავა (აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორია; შესაძლებლობისა და სინამდვილის თეორია; ექვივალენტურობის თეორია; უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორია და ა.შ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორიას, ანუ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისათვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან ანუ დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან ობიექტური გადმოსახედიდან დასტურდება. სავარაუდოა სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო. მაშასადამე, უშუალო ანუ ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიის თანახმად, შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას ანუ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან. ამგვარად, ანაზღაურებას

ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია. ამასთან დაკავშირებით წესები იგივეა, რაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისას (მაგ.სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი აბზაცი). მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ე.წ. ექვივალენტური კაუზალობა არ არის საკმარისი (რომის სამართლიდან გამომდინარე ამ ფორმულის მიხედვით სამართლებრივი ფიგურა "მიზეზი" (მართლსაწინააღმდეგო მოქმედება) შედეგის (ზიანი) თვალსაზრისით მაშინ არის კაუზალური, თუ მის გარეშე შედეგი არ დადგებოდა)). აქედან გამომდინარე, ექვივალენტურობის თეორია იზღუდება ცნებით შერაცხადობა, შედეგად საუბარია ადექვატურ კაუზალობაზე. ეს უკანასკნელი სახეზეა, როცა ხდომილება (მართლსაწინააღმდეგო ქმედება) ობიექტური თვალსაზრისით ზოგადად და არც თუ მთლად თავისებური, უჩვეულო და ობიექტურად გათვალისწინებული გარემოებებიდან გამომდინარე საიმისოდ გამოდგება, რომ გამოიწვიოს დამდგარი შედეგი(ზიანი). ზიანის ანაზღაურებას საერთო მნიშვნელობა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გამოიყენება ვალდებულებით ყოველგვარი დარღვევის დროს. სამოქალაქო სამართლის ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი.

ზიანის მიმყენებლის ბრალი: ბრალი სამართალდარღვევის შედგენილობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთგული დარჩა პასუხისმგებლობის კლასიკური, ევროპულ სამართალში აღნიშნული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპისა. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (dolus) და გაუფრთხილებლობა (culpa), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია.

„ქართულ ცივილისტურ დოქტრინაში არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ბრალის ცნება. მიზანშეწონილია, არსებობდეს ბრალის განსაზღვრება, რომელიც შესაძლოა, ასეც ჩამოყალიბდეს: ბრალი არის ნებაუნარიანი პირის მიერ კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა სხვა პირისათვის უარყოფითი შედეგის დადგომის გაცნობიერებითა და სურვილით, ან სურვილის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის საჭირო გულმოდგინებისა და წინდახედულობის დაუცველად.²⁸

სსკ-ის 395-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის,

²⁸ ნ. ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, სამართლის ჟურნალი, N1, , 149, თბ. 2009 წ.

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.

აღნიშნულის თანახმად ქართული სამართალი ცნობს ბრალის ორ ფორმას: განზრახვა და გაუფრთხილებლობა. **განზრახვა** (dolus) და **გაუფრთხილებლობა** (culpa) პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. გაუფრთხილებლობა, თავის მხრივ შეიძლება დაიყოს **უხეშ** (culpa lata) და **მარტივ** (culpa levis) ფორმებად. სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის ბრალის ცალკეული ფორმების არსებობა იურიდიული მნიშვნელობის მქონეა და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს.²⁹

ჩიტაშვილი ნ. აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში განზრახვა მოიაზრებს უხეშ გაუფრთხილებლობასაც. განზრახ ქმედებად განიხილება პირის გაცნობიერებული ქცევა, რომელიც გამიზნულად მიმართულია ქმედების სამართლებრივი შედეგების წარმოშობისაკენ, ასევე უხეშ გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედებაც, რომლის დროსაც პირი ითვალისწინებს თავისი ქცევის შედეგს, მართალია, მიზანმიმართულად არ მიისწრაფვის, მაგრამ გუგრილად ეკიდება შედეგის დადგომას

განზრახვის ცნება-განზახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ბუნებას და სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა- პირისთვის ზიანის მიყენების სახით (პირდაპირი განზრახვა) ან პირს გაცნობიერებული აქვს მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ბუნება და გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას. (არაპირდაპირი განზრახვა).

გაუფრთხილებლობის ცნება -გაუფრთხილებლობით მოქმედების ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას. პირი ვალდებულია გამოიჩინოს იმგვარი ყურადღებიანობა, რასაც გამოიჩენდა საშუალო გონიერი ადამიანი მის ადგილას. გაუფრთხილებლობა სამოქალაქო კოდექსში იყოფა უხეშ და მარტივ გაუფრთხილებლობად. უხეშ გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. მარტივი გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის ვინც აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს შედარებით დაბალი დონით.

²⁹ ნ. ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, სამართლის ჟურნალი, N1, , 151, თბ. 2009 წ.

თავი III პასუხისმგებლობა ცალკეული სამართალდარღვევისთვის

3.1. პასუხისმგებლობა ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის

სამოქალაქო ვალდებულების შესრულების სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს : მოვალის მიერ კრედიტორისათვის ნივთის გადაცემით, სამუშაოს შესრულებით, დაზიანებული ნივთის აღდგენით, ვალდებულების ნატურით შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ფულადი კომპენსაციის გზით და სხვა. ფულადი ვალდებულება ისეთი სამოქალაქო ვალდებულებაა, რომლის შესრულება იმთავიდანვე ფულადი თანხის გადახდით არის განსაზღვრული. ამიტომ ფულად ვალდებულებებზე ჩაითვლება, როცა ვალდებულების ნატურით შესრულებას ფულადი კომპენსაცია ჩაენაცვლება. საერთო წესის მიხედვით, ფულადი ვალდებულება წარმოიშობა ფულად-საკრედიტო და ფულად-სასაქონლო ურთიერთობებში.³⁰

სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლში ნათქვამია, რომ "მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი" აქედან უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მუხლი ვრცელდება როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფულად-სასაქონლო ურთიერთობებზე. ფულად-საკრედიტო ურთიერთობების ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა სესხი და საბანკო კრედიტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განიხილავს ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის მე-9 და 21-ე თავში, ეს ინსტიტუტები, მათუ ერთმანეთისადმი დიდი მსგავსების გამო, ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსების მიერ მოწესრიგებულია ერთ თავში.³¹

სესხის ხელშეკრულებამ განვითარების დიდი გზა განვლო. რომის სამართალი სესხის ორი სახის ხელშეკრულებას აღიარებდა, რაც შემდგომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსმაც გაიზიარა. ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსის 1874-ე მუხლის თანახმად, არსებობს ორი სახის სესხი. ერთ შემთხვევაში გამსესხებელი მსესხებელს სარგებლობისთვის გაფასცემს, მოუხმარ ნივთს, რასაც ეწოდება სესხი სარგებლობისათვის და გარკვეული ვადის შემდეგ მსესხებელი გამსესხებელს იმავე ნივთს დაუბრუნებს. სესხს მეორე სახე გულისხმობს. გამსესხებლის მიერ მდესხებლისათვის იმ ნივთის გადაცემას, რაც სარგებლობის დედეგად მოიხმარება. აქ კი ხელშეკრულების ობიექტი მოხმარებადჯ ნივთია, ამიტომ ის მსესხებელს გადაეცემა საკუთრების უფლებით და ვალდებულია, დააბრუნოს იმავე გვარისა და რაოდენობის ნივთი. შემდგომ პერიოდში კი სხვა ქვეყნებმა სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიკაციის დროს სესხის

³⁰ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016 წ., გვ. 432

³¹ იქვე გვ. 433

ხელშეკრულების რომაული პრინციპი უარყვეს და ერთმანეთისაგან გამიჯვნეს თხოვებისა და სესხის ხელშეკრულებები. ეს ინიციატივა ეკუთვნის გერმანიის სამოქალაქო კოდექსს. სესხის ხელშეკრულების ობიექტი, გარდა პულადი თანხისა, შეიძლება იყოს მისმიერი გვაროვნული, მოხმარებადი ნივთი, ეს შეიძლება იყოს საკვები, საწვავი და სხვა. მაგრამ სესხის ასეთი ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსი 403-ე მუხლზე დაექვემდებარება.³²

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის გადახდა, როგორც სასყიდელი და სხვისი ფულადი სახსრებით უკანონო სარგებლობისათვის პროცენტის გადახდევინების დაკისრება, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობა. სხვისი ფულადი კაპიტალით სარგებლობისათვის პროცენტის სახით სასყიდლის გადახდა გათვალისწინებულია სესხის, საბანკო კრედიტისა და ანაზრის ხელშეკრულებებით. სამოქალაქო კოდექსი 867-ე და 874-ე მუხლების მიხედვით, საბანკო კრედიტი ანაზარი ყოველთვის სასყიდლიანი ხელშეკრულებებია, რაც ნიშნავს იმას, რომ მსესხებელი ვალდებულია, ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის ამ უკანასკნელს გადაუხადოს გარკვეული პროცენტი, ხოლო ანაზრის ხელშეკრულებით ბანკი არის ვალდებული ანაზრის გადაუხადეს სასყიდელი ანუ პროცენტი. რაც შეეხება სესხის ხელშეკრულებას, ის შეიძლება იყოს, როგორც სასყიდლიანი, ისე უსასყიდლო. სესხისათვის პროცენტის როგორც სასყიდლის გადახდის ვალდებულება და მისი მოცულობის განსაზღვრა ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. მისი ფულადი კაპიტალით სარგებლობისათვის პროცენტის, როგორც სასყიდლის, გადახდას ყველა განვითარებული ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები ითვალისწინებენ. მას ითვალისწინებდა საქართველოს 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი (მუხლი 208). შემდგომ საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსმა " უშრომელი შემოსავლის" წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით მოქალაქეებს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებისთვის პროცენტი არ გაითვალისწინა, უფრო სწორად, სესხისათვის პროცენტის მიღება და აკრძალვა და მევახშეობის სახელწოდებით სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ქმედებად გამოაცხადა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მევახშეობა, როგორც დანაშაულებრივი ქმედება გაუქმდა, და საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი კოდექსში ცვლილებების შეტანის გარეშე მასწავლებელი გახდა ქალაქი და შორის აღებული სესხის ხელშეკრულებისათვის სასყიდლის დაწესება.³³

იმდროინდელი სასამართლო პრაქტიკ გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო კონტროლის არარსებობის გამო პროცენტი იყო ძალიან მაღალი, რომლის საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა

³² დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016 წ., გვ. 433

³³ იქვე, გვ. 434

და 20- 25%. ამის გათვალისწინებით კი 1997 წლის კოდექსმა სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის პროცენტის თვითნებურად განსაზღვრა შეზღუდა.

სესხის ხელშეკრულება სამართლებრივ ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპის ხელშეკრულებაა. სტატისტიკური მონაცემები სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავების შესახებ ცხადყოფს თუ რაოდენ აქტუალურია ეს საკითხი დღევანდელ პრაქტიკაში. საქართველოში ფულის სესხება პრობლემას არ წარმოადგენს. არიან ადამიანები, რომლებსაც გარკვეული თანხა აქვთ და პროცენტის გზით შემოსავლის გაზრდა სურთ, ამასთანავე მრავლად არიან ვალის აღების მსურველებიც, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მოგების მიღების ნაცვლად გამსესხებლებს გასესხებული თანხა ეკარგებათ. შესაბამისად, როდესაც საუბარია ასეთ მაღალ რისკებზე საინტერესოა გავარკვიოთ თუ როგორ ხდება სასესხო ურთიერთობების რეგულირება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით და რა მოთხოვნები უნდა დავიცვათ სესხის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით.³⁴

სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სესხის ხელშეკრულების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ეს ხელშეკრულება არის ცალმხრივი და რეალური ხასიათის. ცალმხრივია იმდენად რამდენადაც მისი მონაწილეებისაგან მხოლოდ ერთი მხარე კისრულობს განსაზღვრული მოქმედების შესრულების ვალდებულებას. ესაა მსესხებლის მიერ სესხად მიღებული ფულის ან გვაროვნული ნივთის უკან დაბრუნება, მეორე მხარეს კი შესაბამისი უფლება გააჩნია მსესხებელისაგან მოითხოვოს ნასესხების უკან დაბრუნება, ამიტომ სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა გამსესხებელი ფულს ან გვაროვნულ ნივთს გადასცემს მსესხებელს. მარტო შეთანხმება სესხის თაობაზე ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელშეკრულების დადებას. შეთანხმებასთან ერთად აუცილებელია სესხის საგნის გადაცემაც, სწორედ ამიტომ ითვლება, რომ სესხის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა.³⁵

სესხის ხელშეკრულებაში არსებითად მნიშვნელოვანი არის სესხის ხელშეკრულების ფორმის საკითხი. იმისათვის, რომ სესხის ხელშეკრულება ნამდვილად ჩაითვალოს აუცილებელია დაცული იქნეს კანონით განსაზღვრული ფორმა. სამოქალაქო კოდექსის ერთგვარი სითამამე და რისკია ის, რომ ფორმის მიხედვით სესხის ხელშეკრულება შეიძლება იყოს ზეპირი და ასევე მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში – წერილობითიც. სწორედ ფორმის

³⁴ <https://legalclinic.iliauni.edu.ge/>, სესხის ხელშეკრულება და ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგები, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 17.06.21

³⁵ <https://legalclinic.iliauni.edu.ge/>, სესხის ხელშეკრულება და ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგები, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 19.06.21

საკითხი იწვევს ხშირად გაუგებრობას, რაც შემდგომში სასამართლო დავებში გადადის. თითქოს მარტივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი პრობლემის განხილვისას, როდესაც გამსესხებელს მართლაც აქვს გაცემული სესხი და სასამართლო გზით მის უკან დაბრინებას ითხოვს, მტკიცებულებებისა და წერილობითი დოკუმენტების არ არსებობი გამო, სასამართლოს სწორი გადაწყვეტილების გამოტანა უჭირს. ამის მიზეზი კი მარტივია – გამსესხებელს პრობლემას უქმნის ვალის გაცემის ზეპირი ფორმა.³⁶

სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად, მაგრამ უშვებს ალტერნატივასაც. მხარეთა შეთანხმებით, სესხის ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს წერილობითი ფორმით. რეალურად სახეზე გვაქვს ფორმათავისუფალი ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ სესხის ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადება ნდობის ხარისხზეა დამოკიდებული. კერძოდ, მხარეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული სესხის ხელშეკრულება დადონ მარტივი წერილობითი ფორმით თუ დაამოწმონ სანოტარო წესით. ამ შემთხვევაში პრიორიტეტული ის სამართლებრივი შედეგებია, რომელმაც შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნას ორივე მხარეს. პრობლემის სათავე იმაში მდგომარეობს, რომ ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დასადასტურებლად საკმარისი არ არის მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები. ზეპირი ფორმით გაცემული სესხისას, გამსესხებელი ხშირად ვერ ასაბუთებს სესხის გაცემის ფაქტს, რის გამოც სასამართლოს პრობლემა ექმნება და ხშირად მოთხოვნაზე უარის თქმა უწევს. ანუ, თუკი გამსესხებელი ამბობს, რომ მან მეორე მხარესთან ზეპირი ფორმით გააფორმა სესხის ხელშეკრულება, იგი ვალდებულია ეს ამტკიცოს. სამოქალაქო კოდექსის თანახმად კი, მხოლოდ მოწმის ჩვენებას სასამართლო ვერ დაეყრდნობა. თუმცა აქვე საინტერესოა, რომ სესხის ხელშეკრულების ზეპირი ფორმის არსებობის ფარგლებშიც შესაძლებელია პრობლემის თავიდან აცილება, კერძოდ, როდესაც მხარეები, სიმარტივიდან გამომდინარე, მაინც ზეპირ ფორმას ირჩევენ, გამსესხებელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ როდესაც თანხას გასცემს, იქვე წერილობით დაადასტურებინოს თანხის მიღება. აღნიშნულთან მიმართებაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში აღნიშნულია, რომ ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დასადასტურებლად, მოწმეთა ჩვენებები საკმარისი არ არის და აუცილებელია მსესხებლის სავალო ხელწერილი ან სხვა რაიმე დოკუმენტის წარდგენა, რომლითაც დადასტურდება მსესხებლისათვის განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ნივთის გადაცემის ფაქტი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მოწმეთა ჩვენებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ისინი მხედველობაში მიიღება, მაგრამ მარტო ასეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით არ შეიძლება არა მარტო მსესხებლის მიერ სესხის

³⁶ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016 წ., გვ. 437

მიუღებლობის ან არასრულად მიღების დადგენა, არამედ გამსესხებლის მიერ ამა თუ იმ პირისათვის სესხის გადაცემის ნამდვილობის განსაზღვრაც, ვინაიდან წერილობითი მტკიცებულებანი წარმოადგენს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის უტყუარ საფუძველს. პრაქტიკაში კანონის ამ მოთხოვნას თითქმის არავინ ითვალისწინებს. რეალურად ამის მიზეზი არა მხოლოდ კანონმდებლობის უცოდინრობა, არამედ ხშირ შემთხვევაში მენტალური პრობლემაა. ადამიანები შეურაცხყოფად აღიქვამენ ხელწერილი ჩამოართვან პირს, რომელიც მათი მეგობარი, ახლობელი, მეზობელი ან უბრალოდ კარგი ნაცნობია. საზოგადოების დიდი ნაწილი უბრალოდ ბრმად ენდობა მსესხებელს და მის კეთილსინდისიერებას, ხოლო როდესაც რეალური პრობლემის წინაშე აღმოჩნდება მას არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია დაამტკიცოს სიმართლე. ეს ადამიანები ხშირად სამართალდამცავებსაც კი ადანაშაულებენ და მოსამართლეს, რომელიც რეალურად ვერ წყვეტს პრობლემას მათ სასარგებლოდ, მიკერძოებულობაში ადანაშაულებენ. ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივმა ხელშეკრულებამ შესაძლოა დიდი პრობლემის წინაშე დაგვაცენოს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა მოწმის ჩვენებისა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს სესხის ხელშეკრულების დამადასტურებელ ერთადერთ მტკიცებულებად, სიმართლის დასამტკიცებლად არ გამოგვადგება არც ვიდეო და აუდიო ჩანაწერები. მამასადაამე, პრობლემის თავიდან აცილების ერთადერთი სწორი გზაა, რომ გვერდზე გადავდოთ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მენტალური სტერეოტიპები და უკეთ გავცნოთ კანონმდებლობას. ამ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთადერთ სწორ გზად მიიჩნევს სესხის ხელშეკრულება გაფორმდეს წერილობითი ფორმით. წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება, მხარეთა სურვილის შემთხვევაში შეიძლება დამოწმდეს ნოტარიალურად. თუმცა სესხის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება არ ატარებს სავალდებულო ხასიათს და ხელშეკრულების ნამდვილობათვის სავსებით საკმარისია მხარეთა ხელმოწერა. ამასთანავე კანონმდებლობა გვთავაზობს პრობლემის თავიდან აცილების გამარტივებულ გზას. კერძოდ, მხარეებმა ხელწერილით დაადასტურონ თანხის გადაცემისა და მიღების ფაქტები. ამ შემთხვევაში თავიდან ავიცილებთ იმ გართულებებს, რამაც რეალურად შეიძლება არა მხოლოდ სამართლებრივი და ფინანსური, არამედ პირადი ხასიათის (გამსესხებელსა და მსესხებელს შორის ურთიერთობის გაფუჭება) პრობლემებიც შექვიქმნას.³⁷

თავისი ბუნებით ფულს მიაკუთვნებენ შეცვლად, გვაროვნულ და გაყოფად ნივთებს, მაგრამ ჩვეულებრივ ნივთებისაგან განსხვავებით, ფულის ეს ნიშნები განსაზღვრულია გამოხატული ფულადი თანხით. ფულის, როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტის, თავისი

³⁷ <https://legalclinic.iliauni.edu.ge/>, სესხის ხელშეკრულება და ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგები, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 17.06.21

თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ წარმოადგენს საყოველთაო ექვივალენტს და შესწევს უნარი ჩაანაცვლოს სასყიდლიანი ხასიათის ყველა ქონებრივი ურთიერთობის ობიექტი.

ფულის სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდია, ის გადახდის კანონიერ საშუალებად ითვლება, ქაღალდის ფული არის ღირებულების ნიშანი, რომელიც სრულფასოვან ფულს ცვლის მიმოქცევაში. ამიტომ მას არ მოეთხოვება, რომ საკუთარი ღირებულება ქონდეს და იყოს სრულფასოვანი. ოქროს შორის ქალაქის სიმბოლოებით ოქროს წარმომადგენელია.³⁸

ფული ყველაზე უტყუარი დოკუმენტი და ისტორიული ძეგლია, რომელიც მოგვითხრობს მისი მოჭრის მომენტისათვის ქვეყნის განვითარების, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ქართული ნუმისმატიკის ისტორია ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესია. მონეტების შემოღებამდე გადახდის საშუალებას სხვადასხვა ნივთი თუ საქონელი წარმოადგენდა: ნიჟარები, ხორბალი, შინაური ცხოველები, მონები და სხვა. ბრინჯაოს ხანაში ფულის ექვივალენტად მეტალი იქცა. ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, საჭირო გახდა მეტალის ნომინალიზაცია წონითა და ძვირფასი მეტალების შემადგენლობით, რასაც მოგვიანებით ზოდებზე დამღის დასმით ამტკიცებდნენ. ძველი წელთაღრიცხვით დაახლოებით VII საუკუნეში ერთდროულად მცირე აზიის ლიდიასა და ჩინეთში შემოიღეს მონეტები. მცირე ზომისა და წონის მაღალი ღირებულების მქონე მონეტებმა თანდათანობით ჩაანაცვლეს ზოდები და ანგარიშსწორების ძირითად ერთეულად იქცნენ. მონეტებს გადახდის ადრეული ერთეულებისაგან განასხვავებდა მათი გარანტორი, რომელსაც სახელმწიფო წარმოადგენდა. ამ დეტალმა ფული აქცია სახელმწიფო ფასიან ნიშნად ანუ სახელმწიფო სამონეტო რეგალიად და მის განუყოფელ ნაწილად. ქართული ფულის დაბადების ათვლის წერტილად უნდა მივიჩნიოთ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნე, როდესაც კოლხეთის სამეფოში ბრუნვაში შევიდა კოლხური თეთრი. კოლხური თეთრი ძალიან ღირებული დეტალია საქართველოს ისტორიის ყველაზე ნაკლებად შესწავლილი პერიოდის შესახებ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით. კოლხური თეთრის გავრცელების არეალზე მსჯელობა მისი აღმოჩენის ადგილების მიხედვით.³⁹

1995 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა ახალი ქართული ეროვნული ვალუტა „ლარი“. მიმოქცევაში გავიდა - 1, 2, 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები. სიტყვა „ლარი“, რომელიც შეირჩა ქართული ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად, ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს ზოგადად განძს, ქონებას, ხოლო „თეთრი“, რომელიც ლარის მესამედ ნაწილს ეწოდა, ასევე ძველი, XIII საუკუნიდან დამკვიდრებული ქართული

³⁸ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016 წ., გვ.

³⁹ <https://forbes.ge/garthuli-phulis-istoria/>, ქართული ფულის ისტორია, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 16.06.21

სამონეტო ტერმინია. 1999 წელს სრულყოფის თვალსაზრისით მოდიფიცირებულ იქნა 1995 წლის ემისიის ყველა ნომინალის ბანკნოტები, 2002 წელს 1999 წლის ემისიის მხოლოდ 1, 2, 5, 10 და 20 ლარის ნომინალის ბანკნოტები, 2004 წელს 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები. 2007 წლის 16 აპრილს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევაში გაუშვა 200 ლარის ნომინალის ბანკნოტი.⁴⁰

ასევე გამოყენების რეჟიმის მიხედვით, ვალუტა შეიძლება იყოს კონვერტირებადი და არაკონვერტირებადი. კონვერტირებადია ისეთი ვალუტა, რომელიც იცვლება ნებისმიერ უცხოურ ვალუტაზე, და ასრულებს საერთაშორისო საგადასახადო საშუალებების ფუნქციას. ხოლო, არაკონვერტირებადია ვალუტა, რომელიც ჩაკეტილი ერთი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში საერთაშორისო სავალუტო ოპერაციებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს და ანგარიშსწორებას უცხოური ვალუტით ახორციელებენ. ფულადი ვალდებულების შესრულებას კი ფულადი კურსისა და ვალუტის შეცვლა განაპირობებს. ვალუტის კურსი ანუ გაცვლით კურსი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა ვალუტების მიმართ დადგენილი გაცვლითი კურსი, სამოქალაქო კოდექსის 398-ე თანახმად, გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა არ შემცირდა ფულის კურსი, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც მას შეესაბამებოდა ვალდებულების წარმოშობის დროს.⁴¹

საქართველოს ოფიციალური ვალუტა და ქვეყნის ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ლარია და მას თავისი სიმბოლო აქვს - - რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ 2014 წლის 7 ივლისს დაამტკიცა. ქართული ფული გვხვდება ბანკნოტებისა და მონეტების, ასევე, საკოლექციო დანიშნულების ბანკნოტებისა და მონეტების სახით, რომლებიც სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღებს, ცნობილ ადამიანებსა და ღონისძიებებს ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ არსებობს საინვესტიციო მონეტებიც, რომლებიც ფულის შენახვის ერთერთ გზასაც წარმოადგენს. საქართველოში ფულის ნიშნების ემისიის ანუ ფულის ბეჭდვის უფლება მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკს გააჩნია. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი სისტემატურად ახორციელებს გამოუსადეგარი ფულის მიმოქცევიდან ამოღებასა და განადგურებას და მათი შესაბამისი ოდენობის ახალი ბანკნოტებითა და მონეტებით ჩანაცვლებას. ქალაქის ფულის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ანუ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ფული ვარგისია მისი ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით, 1-დან 5 წლამდე მერყეობს, გამომდინარე ნომინალის

⁴⁰ <https://legalclinic.iliauni.edu.ge/>, სესხის ხელშეკრულება და ფორმის დაუცველობის სამათლებრივი შედეგები, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 14.06.21

⁴¹ <https://ka.templeprotestant.org/permitted-currency-2037>, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 09.06.21

მომხარების თავისებურებებიდან, მონეტები კი მიმოქცევაში გაცილებით დიდხანს ძლებს. მიმოქცევაში გვხვდება 1, 2, 5, 10, 20 და 50 თეთრის, 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტები (და 2000 წელს გამოშვებული ქრისტეშობის 2000 წლის და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლის თარიღებთან დაკავშირებით მოჭრილი 10 ლარის ღირებულების საიუბილეო მონეტებიც), აგრეთვე, 5, 10, 20, 50, 100 და 200 ლარის ნომინალის ბანკნოტები. 5-ლარიან ბანკნოტზე გამოსახულია ივანე ჯავახიშვილი, 10-ლარიან ბანკნოტზე - აკაკი წერეთელი, 20-ლარიან ბანკნოტზე - ილია ჭავჭავაძე, 50 ლარიან ბანკნოტზე - თამარ მეფე, 100-ლარიან ბანკნოტზე - შოთა რუსთაველი, ხოლო 200-ლარიან ბანკნოტზე - ქაქუცა ჩოლოყაშვილი. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2016 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო განახლებული ბანკნოტების მიმოქცევაში ჩაშვება. განახლებულ ბანკნოტებს მკვეთრად გამორჩეული ფერების სპექტრი აქვს და მათი გაფორმების სტილი, პარამეტრები და დამცავი ნიშნები თანამედროვე, აპრობირებული და თანმიმდევრულია თითოეული ნომინალისათვის. ლარის განახლებული ბანკნოტები დაცულია მომხმარებლისათვის მარტივად აღქმადი, მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული დამცავი ნიშნებით. ამასთან, ლარის განახლებული ბანკნოტების მასალა ზრდის დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისადმი მათ მდგრადობას.⁴²

ფულის კურსის ერთერთი პირობა მიმდინარე ინფლაციური პროცესია. ინფლაცია – ეს არის ფულის გაუფასურება, მისი მსყიდველუნარიანობის დაქვეითება. ინფლაცია არის დისბალანსი მოთხოვნა-მიწოდებას შორის. პირდაპირ თარგმანში ინფლაცია ნიშნავს „გაბერვას“ ე.ი. მიმოქცევის არხების გადატვირთვას მოჭარბებული ქაღალდის ფულით, რომელიც არაა უზრუნველყოფილი შესაბამისი საქონლის მასის ზრდის ნორმით. ინფლაციის ბევრად მისაღები განმარტებაა – ფასების საერთო დონის ზრდა, მიმოქცევის არხების ფულადი მასით გადატვირთვა საქონელთბრუნვის მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, რაც იწვევს ფულადი ერთეულის გაუფასურებას და შედეგად ფასის ზრდას. ინფლაცია არის წმინდა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომელიც „იბადება“ საბაზრო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში წარმოების დისპროპორციით. აღსანიშნავია, რომ ინფლაცია თანამედროვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების ყველაზე მწვავე პრობლემაა. ინფლაცია, როგორც წესი, წარმოიქმნებოდა საგანგებო შემთხვევებში, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფოთა შორის ომები. ამ პერიოდში ქვეყნები დიდი რაოდენობით ქაღალდის ფულს უშვებდნენ, რათა საომარი ხარჯები დაეფარათ. ბოლო 20-30 წლის განმავლობაში ინფლაცია მრავალი ქვეყნის ეკონომიკის ქრონიკულ დაავადებად იქცა.⁴³

ინფლაციის გამომწვევი მიზეზებია :

⁴²<https://finedu.gov.ge/storage/>, ფულის ნიშნები, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 18.06.21

⁴³<http://geoconomics.ge/?p=13363>, ინფლაციის არსი და მისი დღევანდელი ტენდენციები საქართველოში, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 15.06.21

1. **დისპროპორციულობა** – სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების არაბალანსირებულობა, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში იფარება სენიორაჟის გამოყენებით. სენიორაჟი არის შემოსავალი, რომელიც მიღებულია ფულის დაბეჭდვის შედეგად. [2]

2. **ინფლაციურ-სახიფათო ინვესტიციები** – ძირითადად ეკონომიკის მილიტარიზაციას გულისხმობს.

3. **თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის არარსებობა** – თანამედროვე ბაზარი გარკვეულ დონეზე ოლიგოპოლიზირებულია. ოლიგოპოლისტი ისწრაფვის შეინარჩუნოს ფასების მაღალი დონე და დაინტერესებულია დეფიციტის შექმნით.

4. **იმპორტირებული ინფლაცია** – მისი როლი ეკონომიკის ღიაობის ზრდასთან ერთად იზრდება, სახელმწიფოს ბრძოლის შესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდული ხდება.

5. **ინფლაციური მოლოდინი** – ამის მაგალითები ყოველდღიურ ცხოვრებაში შეინიშნება. თუ არსებობს ინფლაციის მოლოდინი, მაშინ ასეთი სიტუაცია იწვევს მოთხოვნის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკაში სირთულეებს წარმოშობს და საზოგადოების მოთხოვნის რეალურ სურათს ცვლის.⁴⁴

ზოგადად 4 ტიპის ინფლაციას გამოყოფენ:

1. მოთხოვნით გამოწვეული ინფლაცია, როდესაც მთლიანი მოთხოვნა ეკონომიკაში აჭარბებს არსებულ მიწოდებას, ანუ სხვაგვარად ეს არის მონეტარული ინფლაცია.

2. ხარჯებით გამოწვეული ინფლაცია, როდესაც მზა პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასები იმატებს ნედლე მასალაზე ფასების ზრდის გამო ან როდესაც ხელფასების მატება წარმოებული პროდუქციის ერთულ ფასს ზრდის.

3. ფასწარმოქმნით გამოწვეული ინფლაცია ანუ დაწესებული ფასის ინფლაცია, როდესაც რამდენიმე ბიზნესი გადაწყვეტს, მოუმატოს ფასებს საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით. მას სხვანაირად ოლიგოპოლიურ ინფლაციასაც უწოდებენ. ოლიგოპოლიებს შეუძლიათ დააწესონ საკუთარი ფასები და გაზარდონ ისინი კარტელური გარიგებებით.

4. სექტორული ინფლაცია, როდესაც ერთ დარგში ფასების ზრდა სხვა სექტორში ზრდის ფასებს. ამის მაგალითია ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა, რომელიც საკვებისა და სხვა სექტორებში ფასების ზრდას იწვევს.

ფასების ზრდის ტემპების მიხედვით განასხვავებენ:

⁴⁴ <http://geoeconomics.ge/?p=13363>, ინფლაციის არსი და მისი დღევანდელი ტენდენციები საქართველოში, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 13.06.21

1. მცოცავი ინფლაცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია შედარებით ფასების ზრდის დაბალი ტემპი (წელიწადში 10% ან ოდნავ მეტი). ასეთი ტიპის ინფლაცია დამახასიათებელი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობისთვის და არ წარმოადგენს უჩვეულო მოვლენას.

2. გალოპირებული ინფლაცია – ფასების ზრდის 20-200%-ით ხასიათდება.

3. ჰიპერინფლაცია, რომლის დროსაც ფასები ასტრონომიულად იზრდება, კატასტროფულად განსხვავდება ფასები და ხელფასები, საზოგადოების ყველაზე უზრუნველყოფილი ფენების კეთილდღეობა ინგრევა, მსხვილი კომპანიები მოგების გარეშე რჩებიან.⁴⁵

ინფლაცია იწვევის ისეთ უარყოფით მოვლენებს, როგორცაა:

- შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილება
- ეკონომიკური ინფორმაციის არასტაბილურობა
- რეალური პროცენტის დაცემა
- ხარჯების ზრდა, რაც მთლიან საზოგადოებას ძლიერ დარტყმას აყენებს
- ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის კლება
- ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში
- რეალური მოგების კლება ბიზნესში
- ინვესტიციებზე ამონაგების შემცირება
- საპროცენტო განაკვეთის მატება, რაც აძვირებს კრედიტებს და ა.შ.

ამ მოვლენების, როგორც ცალ-ცალკე, ასევე კომბინირებულად არსებობა, თავისთავად, განაპირობებს ეკონომიკური ზრდის შეფერხებას, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზეც აისახება. სწორედ ამიტომ ინფლაცია სამართლიანად მიჩნეულია მსოფლიოს ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად. ანტიინფლაციური რეგულირების მეთოდები: მონეტარული და ფისკალური ასპექტები. ანტიინფლაციური სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ინფლაციური მოლოდინის ჩაქრობაა. ამის წარმატებით შესრულება კი დამოკიდებულია გარკვეულ გარემოებებზე:

პირველი ესაა საბაზრო სისტემის მექანიზმების ყოველმხრივი განმტკიცება. აქ მოიაზრება, მაგალითად, იმპორტული საბაჟო გადასახადების შესუსტება, მცირე ბიზნესის წახალისება, გაყიდვების დივერსიფიკაციის სტიმულირება, ფასების ლიბერალიზაცია და არასრულყოფილი კონკურენციის აღკვეთა. მეორე პირობა ისეთი მთავრობის არსებობაა, რომელიც ურყევად იცავს უმართავი ინფლაციის თანდათანობითი აღმოფხვრის კურსს და

⁴⁵ <http://geoeconomics.ge/?p=13363> , ინფლაციის არსი და მისი დღევანდელი ტენდენციები საქართველოში, 12.06.21

სარგებლობს მოსახლეობის უმრავლესობის ნდობით. ეს ხდება მაშინ, როდესაც მთავრობა მიზნად ისახავს სრულიად გარკვეულ, პრაქტიკულად განხორციელებად ანტიინფლაციურ ამოცანებს. ანტიინფლაციური სტრატეგიის განუყოფელი კომპონენტია გრძელვადიანი ფულადი პოლიტიკა. მისი განმასხვავებელი თავისებურება ფულის მასის ყოველწლიურ მატებაზე მკაცრი ლიმიტების შემოღებაა. ეს მაჩვენებელი ყალიბდება რეალური წარმოების ზრდის გრძელვადიანი ტემპისა და ინფლაციის ისეთი დონისგან, რომელსაც მთავრობა მისაღებად თვლის და მისი გაკონტროლების ვალდებულებას იღებს. იმისთვის, რომ ფულადი პოლიტიკა ნამდვილად ანტიინფლაციური იყოს, აღნიშნული ლიმიტი დიდი ხნის მანძილზე უნდა შენარჩუნდეს. ის აგრეთვე არ უნდა იყოს დამოკიდებული ბიუჯეტის მდგომარეობაზე, კაპიტალდაბანდების ინტენსიურობაზე, უმუშევრობის დონეზე და ა.შ.⁴⁶

აღსანიშნავია ამ სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი გარემოება. საკმარისია, მხოლოდ ფულადი შეზღუდვებით, როგორმე მოხერხდეს ფასების ზრდის ტემპის სტაბილიზება, რომ ცვლილებას იწყებს ინფლაციური მოლოდინი. მის კვალდაკვალ იცვლება პროპორცია ფულადი შემოსავლების მოსახმარებელ და დასაზოგ ნაწილებს შორის. დანაზოგის გაფართოება კი, საბიუჯეტო პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა. ანტიინფლაციური რეგულირების კიდევ ერთი სტრატეგიული ამოცანაა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაა მისი სრული ლიკვიდაციის პერსპექტივით. დაფინანსების ნებისმიერი წესის დროს ის გარდაუვალად აძლიერებს ინფლაციას. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელი ხდება ორი გზით – გადასახადების გადიდებით ან სახელმწიფო ხარჯების შემცირებით. ამ ორი გზიდან უპირატესობა მეორეს ენიჭება, ვინაიდან, საგადასახადო წნეხის გამკაცრებამ შეიძლება მოიტანოს მხოლოდ წუთიერი ანტიდეფიციტური შედეგი, ხოლო ხანგრძლივი ვადით, ის იწვევს შრომისა და ინვესტირების სტიმულების შემცირებას, ეკონომიკური განვითარების შემცირებას და საბოლოოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის შენატანების შემცირებას.⁴⁷

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საგადასახადო სისტემის სრულყოფა შეიძლება დაუბრკოლებლივ გარდაიქმნას ანტიინფლაციური სტრატეგიის ელემენტად. მოგებაზე გადასახადის განაკვეთის შემცირება დამატებით იმპულსს მისცემს საინვესტიციო პროცესს, რისგანაც შორეულ პერსპექტივაში მოსალოდნელია წარმოების, დასაქმების და დასაბეგრი

⁴⁶ <http://geoeconomics.ge/?p=13363>, ინფლაციის არსი და მისი დღევანდელი ტენდენციები საქართველოში, 14.06.21

⁴⁷ https://idfi.ge/ge/reasons_for_lari_devaluation, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), უკანასკნელად ნანახი იქნა) 16.06.21

შემოსავლების გაზრდა. შედეგად, მოსალოდნელი იქნება სახელმწიფო შემოსავლების ზრდა და დეფიციტის შემცირება.⁴⁸

ფულადი ვალდებულების შესრულებისას დაცული უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის მოთხოვნა. სხვისი ფულადი სახსრებით უკანონო სარგებლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა საფუძვლის არსებობისას. სხვისი ფულადი კაპიტალით უკანონო სარგებლობა სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით პროცენტის სახით პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. თუ არ არსებობს უკანონო სარგებლობა, მაშინ მოვალისათვის პროცენტის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიც არ არსებობს.

პროცენტის, როგორც სასყიდლისა და პროცენტის, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობას შორის სხვა განმასხვავებელი ნიშანია მათი მოქმედების ვადები. პროცენტის სახით სასყიდლის გადახდის ვალდებულება მოვალედ ეკისრება ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში.

სხვისი კაპიტალით უკანონოდ სარგებლობა ყოველთვის წარმოშობს თუარა პასუხისმგებლობას, სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა პირდაპირ პასუხს. პასუხისმგებლობის სავალდებულო ხასიათზე იყო საუბარი კოდექსის 403-ე მუხლის პირველ რედაქციაში, ნათქვამია, რომ "მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კაბონით განსაზღვრული პროცენტი. სხვისი ფულადი სახსრებით უკანონოდ სარგებლობისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა დადგება ყველა პირობებში, იმის მიუხედავად მხარეებმა განსაზღვრეს თუ არა პროცენტის, როგორც პასუხისმგებლობის მოცულობა.

მთავარი გარემოება რაც გამოიწვევს პასუხისმგებლობას ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, მდგომარეობს იმაში, რომ მოვალე, რომელიც ფულადი ვალდებულებების შესრულების ვადას გადააცილებს, ამით იგი ზიანს აყენებს კრედიტორს, იმით, რომ თუკი მოვალე კრედიტორს დროულად დაუბრუნებდა ფულს, ის მინიმუმ ბანკში განათავსებდა ხელასეკრულების ანაზრით თანხას და შესაბამისად მიიღებდა წინასწარ განსაზღვრულ პროცენტს.

თუკი სახეზე გვექნება სხვისი ფულადი სახსრებით უკანონოდ სარგებლობიდ ფაქტი, ამგვარი ზიანის არსებობის ფაქტს დასაბუთება არ დასჭირდება.

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები 7.4.9 მუხლის თანახმად, თუ მოვალე ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, დაზარალებულ მხარედ

⁴⁸ იქვე (უკანასკნელად ნანახი იქნა) 16.06.21

წარმოეშობა გადაუხდელი თანხის წლიური პროცენტის მოთხოვნის უფლება გადახდის მომენტის დაწყებიდან გადახდის მომენტამდე.

პროცენტის მოცულობის მომატენას კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთისმხრივ ანდობს სამოქალაქო ურთიერთობის მხარეებს, ხოლო მეორე მხრივ აწესებს გარკვეულ ზღვარს.

"სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპისა" და ეკონომიკის ეფექტურად განვითარების ხელშეწყობილ მიზნით მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ ბანკის ანაბარზე შეტანილი თავისუფალი ფულადი სახსრების საპროცენტო განაკვეთი იყოს იმდენად დაბალი, რომ სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი მათი ფულადი სახსრების საბანკო დაწესებულებაში განთავსებით, რათა მეგი დაინტერესება და სტიმული ჰქონდეთ.

სხვისი ფულადი სახსრებით უკანონოდ სარგებლობისათვის პროცენტის დაკისრების იურიდიული ბუნება სპეციალისტების მიერ ყოველთვის ერთნაირად არ არის გაგებული. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ეს არის არა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმა, არამედ- სასყიდლიანი სხვისი ფულადი თანხა. 417-ე მუხლი იპერატიულად ადგენს, რომ პირგასამტეხლო არის " მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რაც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის". მოვალეს პირგასამტეხლო შეიძლება დაეკისროს მაშინაც, როცა კრედიტორი ზიანს არ განიცდის, მაშინ როდესაც სხვისი კაპიტალით უკანონო სარგებლობა კრედიტორისათვის ზიანის მომტანია ყოველთვის.⁴⁹

3.2 სადაზღვევო პასუხისმგებლობა

სადაზღვევო პასუხისმგებლობად მიჩნეულია პასუხისმგებლობა, რომელიც უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული და გარკვეული სახის ზიანის ანაზღაურებას. ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ისევე როგორც მისი საკუთრების ბედი, პირდაპირ არის დაკავშირებული წინასწარ გაუთვალისწინებელი და აუცდენელი გარემოებების არსებობასთან. აქ მხედველობაში გვაქვს დაუძლეველი ძალის მოქმედებები, როგორცაა სტიქიური უბედურებები: ზვავი, მიწისძვრა, ხანძარი და ა.შ ასევე სოციალური მოვლენები: ომი, რევოლუცია, აჯანყება, სახელმწიფოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები, მაგალითად, როგორცაა ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა და სხვა. საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში ამ გარემოებათა თავს დატეხილი უარყოფითი შედეგების უვნებელსაყოფად და ამ მავნე შედეგების მინიმუმამდე დაყვანის ხერხებისა და საშვალებების ძიებაშია. ამ მიმართებით

⁴⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

საზოგადოებამ დღევანდლამდე ყველაზე კარგი გამოსავალი სადაზღვეო სამართალში ჰპოვა, ამიტომ თანავედროვე ეკონომიკურად განვითარებული საზოგადოება ძნელად წარმოსადგენია სადაზღვეო სისტემის გარეშე.⁵⁰

სადაზღვეო პასუხისმგებლობის ცალკეული საკითხების განხილვამდე და მათზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად მოკლედ შევეხებით დაზღვევის ინსტიტუტს იხილავდა რა დაზღვევის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ვ. რაიხერმა ყურადღება გაამახვილა სტიქიურ უბედურებასთან დაზღვევის გზით ბრძოლის ორ განსხვავებულ საშვალეზე. ერთი მათგანი პრევენციული ხასიათისაა და მიმართულია იქით რომ არ დაეშვათ სტიქიური უბედურებების დადგომა. დაზღვევის მეორე დანიშნულება, სტიქიური უბედურებებით დამდგარი მავნე შედეგების სწრაფი ლიკვიდაცია და მისი მინიმუმამდე დაყვანაა.⁵¹

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში დაზღვევის მნიშვნელობისა და დანიშნულებას მრავალი შრომა მიეძღვნა და მაინც მიგვაჩნია, რომ დაზღვევის მნიშვნელობის შეფასება განსაკუთრებით წარმატებულად არის ფორმულირებული ეკონომისტ ა.ი.ანტონოვიჩის მიერ დასღვევის ამოცანა იმაში მდგომარეობს, წერს იგი, რომ ფიზიკურად განადგურებადი ქონება, ეკონომიკურად გაუნადგურებელ ქონებად ვაქციოთ. მისი ფიზიკური განადგურების თვისებების მიუხედავად, გაუნადგურებელ კაპიტალურ ღირებულებებად ვაქციოთ.⁵²

მეცნიერ-იურიტთა მიერ დაზღვევის რამოდენიმე ეტაპი განიხილება. ასე მაგალითად, გ.გ. შერშენევიჩი, დაზღვევის ისტორიის განმავლობაში სამ ფაზას გამოყოფდა: "თვით დაზღვევა", " ურთიერთ დაზღვევა" და "კომერციული დაზღვევა", გ. შერშენევიჩს თვით დაზღვევა შემდეგ ნაირად აქვს გაგებული- თუ საწარმო რამოდენიმე სამეურნეო ერთეულისაგან შედგება და თითოეული მათგანი ზიანის მიმყენებელი ერთიდაიგივე ძალისაგან ერთდროულად არ განიცდის ზემოქმედებას, მაშინ ზიანი, რომელიც განიცადა ერთმა სამეურნეო ობიექტმა, გადანაწილდება ყველა სხვა სამეურნეო ერთეულზე, რითაც შემცირდება იმ დაზარალებულის სამეურნეო ერთეულის ტვირთი, რომელმაც განიცადა ზიანი. აღნიშნულის საილისტრაციოდ გ.შერშენევიჩს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: ორთქმავალთა საზოგადოება "სამოლიოტი" ფლობს 40 ორთქმავალს. იმის ნაცვლად რომ საზოგადოება თითოეული ორთქმავლის ღირებულებიდან გამომდინარე სადაზღვეო კომპანიას დიდძალი სადაზღვეო პრემია გადაუხადოს, საზოგადოება თვითონ ქმნის სპეციალურ ფონდს და ამ ანგარიშიდან ფარავს უბედური შემთხვევით გამოწვეულ ძალას. როგორც ვხედავთ, გ.შერშენევიჩი ერთი საწარმოს მიერ და მის შიგნით ეკონომიკური მართვის რეჟიმს დაზღვევის ზოგად პრინციპებთან

⁵⁰ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016, გვ. 446

⁵¹ იქვე, გვ. 446

⁵² იქვე, გვ. 447

აიგივებს. თვით დაზღვევასთან დაკავშირებულ გ.შერშენევიჩის პოზიციას ფაქტობრივად იზიარებს ვ.რაიხერიც.⁵³

შემდგომ წლებში გ.შერშენევიჩისა და ვ.რაიხერის შეხედულებები თვითდაზღვევასთან დაკავშირებით უარყოფილ იქნა. მ.ი. ბრაგინსკისა და ვ.ვ. ვიტრიანცკის მიერ, ისინი მიიჩნევენ რომ თვითდაზღვევის ზოგად წესთან საერთო არაფერი აქვს, ასეთი შემთხვევების ანუ თვითდაზღვევის დროს გამორიცხულია დაზღვევისათვის დამახასიათებელი ძირითადი გვაროვნული ნიშანი- პასუხისმგებლობის გადანაწილება. მაშინაც, როცა დაზღვევის მიზნით ფირმა გადაინახავს გარკვეულ მარეჩალურ რეზერვს და გადაანაწილებს წლების მიხედვით და მაშინაც, როცა ფირმა გაითვალისწინებს სადაზღვეო მარაგის გადანაწილებას მისსავე ორთქმავლებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს ხანძრისა და სხვა დაუძლეველი ძალით გამოწვეულ უარყოფით მატერიალურ შედეგა პირველ რიგში მაინც ფირმა განიცდის, ხოლო შემდეგ შეიძლება ორთქმავლებზეც აისახოს.⁵⁴

თვითდაზღვევის სამართლებრივ შეფასებისას, ვ.სერებროვსკი, მ.ი.ბრაგინსკისა და ვ.ვ. ვიტრიანცკის პოზიციას იზიარებს- თუ ჩვეულებრივი დაზღვევის დროს წერს იგი, ზიანი სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტებს შორის გადანაწილდება, თვითდაზღვევის დროს ზიანის ანაზღაურებას ერთი სამეურნეო ობიექტი ახორციელებს და თანამედროვე დაზღვევასთან საერთო არაფერი აქვს.⁵⁵

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ურთიერთდაზღვევას ახასიათებს დაზღვევისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები. ამრიგად, ურთიერთდაზღვევის დროს დამზღვევები როგორც ცალკე დამოუკიდებელი სუბიექტები, ერთდროულად ერთმანეთის მიმართ დამზღვევებიც არიან და მზღვეველებიც. ამგვარ დაზღვევას საფუძვლად უდევს არასამეწარმეო მიზანი, არამედ თვითდაზღვევა და ურთიერთდაზღვევა.⁵⁶

ურთიერთდაზღვევის ფორმას დადებითად აფასებს დ.მეიერი. ის ყურადღებას მიაპყრობს იმას რომ ურთიერთდაზღვევის საწყისებზე ორგანიზებული დაზღვევა ხელსაყრელი და სარგებლიანია, მათი მონაწილეებისათვის, რადგან მათ მიერ გაკეთებული შენატანები, გამოიყენება მხოლოდ დაზღვეული ქონებისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. მისგან მოგებას არავინ ღებულობს, ამიტომ სადაზღვეო ფონდის შესაქმნელად, გადასახადი თანხა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე კომერსანტი მზღვეველისათვის გადასახდელი პრემია.⁵⁷

⁵³ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016, გვ. 447

⁵⁴ იქვე, გვ. 447

⁵⁵ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016, გვ. 448

⁵⁶ იქვე, გვ. 448

⁵⁷ იქვე, გვ. 449

მართალია ურთიერთ დაზღვევამ განვითარების გარკვეული გზა განვლო და ის არც დღეს არის კატეგორიულად უგულვებელყოფილი, მაგრამ კოლექტიური დაზღვევის პირობებში, თავისი მნიშვნელობით მაინც უპირველესია კომერციული დაზღვევა. როცა საუბარია კომერციულ დაზღვევაზე, მხედველობაში გვაქვს დამზღვევსა და მზღვეველს შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულება, როცა მზღვეველის როლში ყოველთვის გამოდის სადაზღვეო კომპანია დამოუკიდებელი იურიდიული პირის სახით. სწორედ რომ მზღვეველის საკუთრებაში დაგროვილი დიდძალი სადაზღვეო ფონდი იძლევა ვალდებულების შესრულების სრულ გარანტიას- გარანტიერებული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფას. დამზღვევის მიერ კომერციული მზღვეველისათვის გადახდილი სადაზღვეო პრემია ორი ნაწილისგან შედგება პირველი სადაზღვეო შემთხვევით გამოწვეული სავარაუდო ზარალის ასანაზღაურებელი თანხა, რაც შეიძლება სრულ სადაზღვეო თანხას ან მის ნაწილს შეადგენდეს და მეორე სადაზღვეო კომპანიის მოგება.⁵⁸

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია ვ. რაიხელის მოსაზრება. დაზღვევისა და სადაზღვეო სამართლისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ ნაშრომში „დაზღვევის საზოგადოებრივ ისტორიული ტიპები“. ავტორმა დიდი ადგილი დაუთმო დაზღვევების წარმოშობა განვითარების ისტორიას, დაზღვევა წერს ვ. რაიხერი არსებობდა ფეოდალიზმისა და მონათმფლობელურ საზოგადოებაშიც და ამასთან დიდი იყო ნამდვილად თანამედროვე დაზღვევა. ავტორს ასეთი პოზიცია დასაბუთებული აქვს მოგზაურებს შორის დიდებულ ხელშეკრულებებზე მითითებით, რომლებიც თანხმდებოდნენ უბედური მოგზაურობის დროს გამოწვეული შედეგების ურთიერთშორის გადანაწილებაზე. ამგვარ უბედურ შემთხვევებს მიაკუთვნებდნენ ყაჩაღობას, ქურდობას ტვირთაკიდებელი საქონლის დაცემასან მტაცებელი ცხოველების მიერ მათ დაგლეჯას და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იძენდა გემის მესაკუთრეებსა და გადასაზიდი ტვირთის მესაკუთრე ვაჭრებს შორის დადებული შეთანხმებები ზარალის გადანაწილების თაობაზე. სადაზღვეო ურთიერთობის წარმოშობის წინამძღვრები თვით ადამიანის ყოფიერებაში არსებობს. ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება, მისი ბუნებასთან თანაარსებობა ისე არის მოწყობილი, რომ ყოველთვის არსებობს უბედური შემთხვევების წარმოშობის დიდი ალბათობა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე პირობებში ამგვარი უარყოფითი მოვლენების წარმოშობის რისკი უფრო იზრდება. ადამიანის ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს თავიდან აიცილოს მისი პირადი და ქონებრივი ზიანის გამომწვევი ბუნებრივი და სხვა უბედური შემთხვევები, ხოლო თავსდატეხილი უარყოფითი შედეგები ოპერატიულად აღმოფხვრას. ამგვარმა ცხოვრებამ კი საზოგადოება დაზღვევის წარმოშობის მოთხოვნამდე მიიყვანა. ტრადიციული გაგებით

⁵⁸ იქვე, გვ. 449

დაზღვევის არსი იმაში მდგომარეობს რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის ან მისი ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ჩვენს ჩვეულებრივ შემთხვევაში ერთმა პირმა უნდა განახორციელოს, დაზღვევის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება რამდენიმე პირზე გადანაწილება. სხვანაირად რომ ვთქვათ ერთი პირისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება განხორციელება ამისთვის შექმნილი სპეციალური სადაზღვეო ფონდიდან, რომელიც იქნება სუბიექტების განუსაზღვრელი წრის მიერ ფულადი გადასახადებით. სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურად განიხილება მე-17 საუკუნეში ლონდონში ედვარდ ლოიდის ყავახანაში ვაჭრებს შორის დებული შეთანხმება მიყენებული ზიანის ურთიერთშორის გადანაწილების თაობაზე და მიიჩნევენ რომ დაზღვევის ინსტიტუტსაც ამ დროიდან დაიდო სათავე. ვ. რაიხერის გადმოცემით ედვარდ ლოიდის ყავახანაში ძირითადად სადაზღვეო დაზღვევის ხელშეკრულებებს დებდნენ. საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულებები მრავალფეროვანია. სანაოსნოდ გასული სხვადასხვა საქონლით დატვირთული გემები ხშირად უკან აღარ ბრუნდებოდნენ, რის შედეგადაც საქონლის მისაკუთრება ტრედი დიდ ზარალს განიცდიდნენ. გარდა სტიქიური უბედურებებისა საქონლით დატვირთული გემი და მისი ეკიპაჟი ზღვის მეკობრეების მსხვერპლიც ხდებოდა, რაც არც დღეს არის გამორიცხული, ამასთან დაკავშირებით საქონლის მისაკუთრება ვაჭრები ანდა ვაჭრები და გემის მესაკუთრეები თანხმდებოდნენ რომ თავდატეხილი უბედურების ჟამს განსაცდელში არ მიეტოვებინათ ის ვაჭრები და გემის მესაკუთრეები რომლებმაც აღჭურვეს გემი სანაოსნოდ და ამით გამოწვეული მატერიალური ზიანი ერთმანეთში გადაენაწილებინათ. დაზღვევის ისტორიულ ტიპებს შორის ვ. რაიხერი განიხილავს ასევე ე.წ „სადაზღვეო სესხს“ რომელიც ავტორის თქმით ასევე სათავეს რომში იღებს და რომლის არსი რაში მდგომარეობდა, რომ სადაზღვეო სესხისა და პროცენტის დაბრუნების ვალდებულება განპირობებული იყო სადაზღვეო ნაოსნობის მშვიდობიანი დასასრულით და მის უზრუნველსაყოფად. შეიძლება ითქვას რომ საზღვაო სესხითმოვალე ერთგვარად აზღვევდა იმ საშიშროებას, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა ნაოსნობის პერიოდში. შესაბამისად, რამდენადაც სესხისა და პროცენტის გადახდა ნაოსნობის მშვიდობიანი დასასრულის შემთხვევაში მცირდებოდა, კრედიტორები ამგვარ სესხს უფრო მაღალი პროცენტით გასცემდნენ. არსებობს აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგო პოზიციაც. პოლონელი პროფესორი ვიტოლდ ვარკალი სადაზღვეო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ მიმართებაში პოლემიკაში ჩართვაზეც კი უარს აცხადებს და მიიჩნევს რომ სადაზღვეო კომპანიის მიერ სადაზღვეო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება არის მზრახველის პასუხისმგებლობა იმ მარტივი მიზეზის გამო რომ პოლონეთის სამოქალაქო კანონმდებლობა მძრახველს პასუხისმგებელ პირად მიიჩნევს. მასთან პროფესორი წერს: არანაკლებ მნიშვნელოვანია ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და მრავალ პირს შორის ზიანის

გადანაწილებასთან დაკავშირებული კოლექტიური პასუხისმგებლობის ურთიერთგამიჯვნა. ამგვარი გადანაწილების მაგალითს წარმოადგენს სადაზღვეო განლაგება რასაც საბოლოო ჯამში მიყვავართ 1 პირისათვის მიყენებული ზიანის მრავალრიცხოვან დამზღვევებზე გადანაწილებასთან.⁵⁹

როგორც ვხედავთ, პროფესორი ვ. ვარკალო ერთ მხრივ უდავოდ მიიჩნევს რომ სადაზღვეო პასუხისმგებლობის ტვირთი ეკისრება მზრახველს, ხოლო მეორე მხრივ თვითონვე ადასტურებს, რომ სადაზღვეო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობა დადგება.⁶⁰

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ბატონებს მ. ბრაგინსკისა და ვ. ვიტრინსკის რომ სადაზღვეო საზღაურის გადახდა არის არა პასუხისმგებლობა, არამედ- სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება. ამასთან ვერ დავეთანხმებით მათ მოსაზრებას იმ ნაწილში, თითქოს ადრეულ წლებში მხოლოდ ტერმინოლოგიური აღრევას ქონდა ადგილი. როგორც ვნახეთ, ამის დადასტურებაა პროფესორ ვ. ვარკალოს პოზიცია რომელიც სრულიად გარკვევით და პრინციპულად აცხადებს, რომ მზღვეველის მიერ სადაზღვეო თანხის გადახდა არის მზღვეველის პასუხისმგებლობა.⁶¹

ჩვენი დამოკიდებულება მზღვეველის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული ავტორებისგან განსხვავებულია. ერთ შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ პროფესორების პოზიციას, რომ მზღვეველის პასუხისმგებლობა დადგება პასუხისმგებლობის საერთო წესების მიხედვით. მაგრამ მზღვეველის პასუხისმგებლობა ამით არ ამოიწურება. ამ მიმართებით დასახელებულ ავტორებს ავიწყდებათ ის თავისებურება, რაც სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევასთან არის დაკავშირებული.⁶²

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი წესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის განვითარებასთან რისთვისაც ამ ურთიერთობის მონაწილეებმა ვალდებულება უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას(სამოქალაქო კოდექსი 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მზღვეველის მიერ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა და მოიწინეს სადაზღვეო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას, რაც თავის მხრივ მეორე მხარისათვის უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება. ანუ მზღვეველისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების ათვის სახეზე უნდა გვექონდეს მის მიერ სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა. თავისთავად მზღვეველის მიერ

⁵⁹ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016, გვ. 452

⁶⁰ იქვე, გვ. 453

⁶¹ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016, გვ. 453

⁶² იქვე, გვ. 454

სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული შედეგისათვის სადაზღვევო საზღაურის გადახდა თუნდაც იძულებით, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, არ იქნება პასუხისმგებლობა, რადგან ასეთი მოქმედება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებაა.⁶³

სხვა შემთხვევაში მზღვეველის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს რომ პირი რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს გარკვეული პროცენტი. პასუხისმგებლობის ეს სახე ლიტერატურაში ცნობილია ფულადი ვალდებულება დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახელით. სამოქალაქო კოდექსის 799 მუხლის თანახმად დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების თანახმად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოთხოვნა. ციტირებული ნორმიდან ჩვენთვის საინტერესოა ტექსტის ის ნაწილი, საიდანაც ირკვევა, რომ მზღვეველს ცალკეულ შემთხვევებში ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება ეკისრება სადაზღვევო თანხის სახით, უფრო მეტიც, სამოქალაქო კოდექსის რვაას მე-20 მუხლით ზიანის დაზღვევისას მზღვეველი ზიანსაც ფულით ანაზღაურებს და ნატურით, როგორც ამას კოდექსის 408-ე მუხლი ითვალისწინებს. შესაბამისად, თუკი მზღვეველი დროულად არ გადაიხდის სადაზღვევო თანხას, იგი პასუხს აგებს სხვისი ფულადი კაპიტალით უკანონოდ სარგებლობისთვის, რომლის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი წარმოადგენს. მზღვეველისთვის პასუხისმგებლობა დაკისრების მეორე ჯგუფს განეკუთვნება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევები. ამის შესახებ თვით სამოქალაქო კოდექსი აკეთებს რამდენიმე მითითებას. 839-ე მუხლის მიხედვით სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით მზღვეველი მოვალეა, გაათავისუფლოს დამზღვევი იმ მოვალეობისაგან, რომელიც დამზღვევეს დაეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო. როგორც ვხედავთ, კანონს დამზღვევის პასუხისმგებლობა მზღვეველზე გადააქვს, ანუ მზღვეველს აკისრებს პასუხისმგებლობას. მაგალითად ჩვეულებრივ ქონების დაზღვევის ხელშეკრულებით მხარეები- მზღვეველი და დამზღვევი თანხმდებიან რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეულ ზიანს მზღვეველი აანაზღაურებს; ხოლო სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი და დამზღვევი თანხმდებიან რომ დამზღვევის მიერ

⁶³ იქვე, გვ. 454

სხვაპირისათვის მიყენებული ზიანისათვის ზიანის მიმყენებლის ნაცვლად, სამოქალაქო პასუხისმგებლობა მზღვეველს დაეკისრება.⁶⁴

პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის მიყენებული ზიანისათვის წარმოშობილი პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით ერთ შემთხვევაში თვით დამზღვევის პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევა ხდება, ხოლო მეორე შემთხვევაში ხელშეკრულება დადებული იქნება მესამე პირის სასარგებლოდ.⁶⁵

მზღვეველისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მეორე ჯგუფს მიეკუთვნება, სამოქალაქო დაზღვევის შემთხვევაში. ჩვეულებრივი ქონების დაზღვევის ხელშეკრულებიყ მხარეები მზღვეველი და დამზღვევი თანხმდებიან, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეულ ზიანს მზღვეველი აანაზღაურებს, ხოლო სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი და დამზღვევი თანხმდებიან, რომ დამზღვევის მიერ სხვა პირისთვის მიყენებული ზიანისთვის ზიანის მიმყენებლის ნაცვლად სამოქალაქო პასუხისმგებლობაზღვეველს დაეკისრება. სხვანაირად რომ ვთქვათ, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით, პასუხისმგებლობის სუბიექტის ჩანაცვლება ხდება. ამიტომ პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს საქმე გვექნება, მზღვეველის მხრივ არა ვალდებულების შესრულებასთან, არამედ სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან. პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისთვის მიყენებული ზიანისათვის , წარმოშობილი პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით ერთ შემთხვევაში თვით , დაზღვევის პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევა ხდება : ხოლო მეორე შემთხვევაში უაშუალოდ მესამე პირის სასარგებლოდ იქნება დადებული. პირველი შემთხვევისათვის პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არიან მზღვეველი დადამზღვევი, რას იმას ნიშნავს რომ მზღვეველი დამზღვევის წინაშე არის ვალდებული , ხოლო დამზღვევი უფლობა მოსილია უაშუალოდ მოითხოვოს მზღვეველისგან ვალდებულების შესრულება მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ რაც, დამზღვევი დაზარალებულის წინაშე შესარულებს პასუხისმგებლობას მისთვის მიყენებული ზიანისთვის. მზღვეველის პასუხისმგებლობა აქ არაპორდაპირი ხასიათისაა, რადგამ მზღვეველი დამზღვევის მიერ შესრულებული პასუხისმგებლობის კომპენსაციას ახდენს, შესაბამისად, სარგებლის მიმღებადაც დამზღვევი გვევლინება. პასუხისმგებლობის სუბიექტთა ასეთი გადანაწილება გამოწვეულია იმით, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებაში დაზარალებული არანაირი სახით არ მონაწილეობს და მზღვეველისადმი უაშუალოდ მიმართვის უფლება არ გააჩნია მაგალითად როდესაც მზღვეველსა და ავტომანქანას მესაკუთრეს შორის იდებ, ამ უკანასკნელის მიერ

⁶⁴ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016, გვ. 455

⁶⁵ იქვე, გვ. 455

სხვისთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევის ხელშეკრულება, იმის გათვალისწინებით რომ დაზარალებული ხელშეკრულების მონაწილეს არ წარმოადგენს ის უფლებამოსილია პასუხისმგებლობის დაკისრება უშუალოდ ზიანის მიმყენებელს დამზღვევს მოთხოვოს და არა მზღვეველს. დაზარალებულისათვის იმგვარი შესაძლებლობის მიცემა რომ მას უშუალოდ მზღვეველისადმი მიმართვის უფლება ჰქონდეს, დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი იძლევა. დასახელებული ნორმის მესამე პუნქტის თანახმად ნებაყოფლობითი დეზღვევის დროს დამზღვევი უფლება მოსილია განსაზღვროს მოსარგებლე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რონელიც სადაზღვეუო ხელშეკრულების თანახმად მიიღებს სადაზღვეო ანაზღაურებას.⁶⁶

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს საკანონმდებლო დონეზე რამდენიმე პრინციპული საკითხივარის გადაჭრილი:

1. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით ყოველთვის დაზარალებულის მოთხოვნის დაკმაყოფილება არის უზრუნველყოფილი.
2. დაზარალებული არის მოსარგებლე.
3. დაზარალებული უფლებამოსულია უშუალოდ მიმართოს მზღვეველს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.
4. მზღვეველი დაზარალებულის წინაშე აგებს პასუხს მაშინაც, როცა ამ მოვალეობისაგან გათავისუფლებულია დაზღვევის წინაშე.⁶⁷

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დროს, ნებაყოფლობით თავისუფლდება დაზღვევის დროს მზღვეველი პასუხისმგებლობისგან, თუ დამზღვევმა არგამოიწვია შეგნებულად იმ გარემოების წარმოშობა,რისთვისაც მას პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა მესამე პირის წინაშე.

⁶⁶ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016, გვ. 456

⁶⁷ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016, გვ. 458

თავი IV პასუხისმგებლობის სხვა სახეები

სამოქალაქო ბრუნვის სწრაფი და ხარისხიანი განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობათა მონაწილეების ვალდებულებათა ნორმალურ რეალიზაციას, თუმცა ხშირად მხარეები არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას, რასაც სახელმწიფოს მხრიდან მოჰყვება შესაბამისი რეაგირება, რაც გამოიხატება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულების დამრღვევ პირს შეიძლება დაეკისროს არამართო „სახელშეკრულებო“ ზიანისათვის, არამედ „არასახელშეკრულებო“ ზიანისთვისაც. „იურიდიული პასუხისმგებლობა დგება სამართალდარღვევის შემთხვევაში. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეა, ამიტომ მას ახასიათებს როგორც სპეციფიკური, ასევე საერთოდ იურიდიული პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები.“⁶⁸

„ყოველი სანქცია, რომელსაც კანონი ადგენს ვალდებულების დარღვევისათვის, არ წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ ისეთი სანქციები წარმოადგენენ, რომლებიც ითვალისწინებენ ვალდებულების დამრღვევი პირისათვის იმის ზემოთ დამატებით მოქმედატ შესრულების დაკისრებას, რაც მას ვალდებულებით ეკისრება.“⁶⁹

„სამოქალაქო ბრუნვაში სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ვალდებულების დარღვევას აუცილებლად მოჰყვება ურთიერთობის სხვა მონაწილეთა უფლებების დარღვევა. ამიტომაც, ქონებრივი სანქცია, რომელიც გამოიყენება ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველთვის მიზნად ისახავს დაზარალებულის დარღვეული უფლებების აღდგენას ან კომპენსაციას.“⁷⁰

„ერთმანეთისაგან განასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობას. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას; არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა კი მაშინ, როდესაც სამართალდამრღვევმა თავისი

⁶⁸ მ. დუნდუა, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა. სამართლის ჟურნალი N1, 52. თბ. 2009.

⁶⁹ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი. თბ. 1999წ. გვ. 64

⁷⁰ მ. თოდუა, ჰ. ვალემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ. 2006 წ. გვ. 37.

ქმეებით ზიანი მიაყენა იმ პირს, რომელიც არ იმყოფებოდა მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში.⁷¹

პასუხისმგებლობის ასეთ დაყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ასეთ ურთიერთობათა მიმართ ამა თუ იმ ნორმის გამოყენება. თუ საქმე ეხება იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც დელიქტური ვალდებულებიდან წარმოიშობა, გამოყენებული უნდა იქნეს ამ ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები, ხოლო თუ ზიანი პირს მიადგა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით, მაშინ ზიანიათვის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებით და იმ ნორმათა წესებით, რომლებიც ასეთ ურთიერთობას არეგულირებს.⁷²

აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა იმ შემთხვევაში თუ მოვალე არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას, რა სამართლებრივი დაცვის სახის საშუალებები აქვს კრედიტორს?

ასეთ დროს თეორიულად შესაძლებელია გამოვყოთ ოთხი სახის სამართლებრივი დაცვის საშუალება.

1. პირველ რიგში, კრედიტორს შეუძლია კონკრეტული ქმედების შესრულების მოთხოვნა;
2. კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ფინანსური ანაზღაურება ზიანისათვის;
3. ორმხრივი უფლებებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც გააჩნია ორივე მხარეს, კრედიტორს უფლება აქვს, არ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა მანამ, სანამ მეორე მხარე არღვევს დაკისრებულ ვალდებულებას და ბოლოს
4. უკიდურეს შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან შეწყვიტოს იგი და ამგვარად დაასრულოს მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა.⁷³

4.1 სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა, მათი ერთიანობა და განმასხვავებელი ნიშნები

სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის სუბიექტი, როგორც ითქვა, შეიძლება იურიდიული პირიც იყოს. როგორც ცნობილია, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის დასაბუთებისას მეცნიერები ახდენენ მისი ნების ანალიზს. იურიდიულ პირს საკუთარი ნება გააჩნია, რომელიც გამოიხატება იურიდიული

⁷¹მ. დუნდუა, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა. სამართლის ჟურნალი, N1, 54. თბ. 2009 წ.

⁷²ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი. თბ, 1999წ. გვ. 65

⁷³მ. თოდუ, ჰ. ვალემსი., ვალდებულებითი სამართალი, თბ. 2006, გვ. 116.

პირის, ორგანოს, მუშებისა და მოსამსახურეების მიერ, ამიტომაც რომ იურიდიული პირის ბრალეულ მოქმედებად ითვლება მისი ორგანოს, მუშებისა და მოსამსახურეების ბრალეული მოქმედებები. თუმცა, იურიდიული პირის ნება არ შეიძლება დავიყვანოთ იმ პირების ნებისა და მოქმედებების უბრალოდ ჯამზე, რომლებიც მას შეადგენენ, მართავენ. იურიდიული პირის ნება წარმოადგენს ახლა თვისობრიობს. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 458-ე მუხლის თანახმად, ორგანიზაცია მოვალე აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიყენებულია მისი მუშაკის ბრალით, როცა ის მუშაკი თავის შრომით მოვალეობას ასრულებდა. ეს წესი ეხება ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობებსაც. იურიდიული პირის ნება ერთი პირის ნება როდია, იგი მთელი კოლექტივის ნებაა, თუნდაც, რომ შემუშავებული და გამოვლენილი იყოს ერთი პირის მიერ. სახელმწიფოს საწარმოს შესახებ კანონი ამისი ნათელი დადასტურებაა. იგი კოლექტიური ნების ფორმირების რეალურ გარანტიებს იძლევა. ინდივიდუალური და კოლექტიური ნება არ არიან იგივეობრივნი. იურიდიული პირი, როგორც პასუხისმგებლობის სუბიექტი, კოლექტიური ნების სუბიექტია, პასუხისმგებლობის დაკისრების დროს სწორედ კოლექტიური ნებიდან უნდა ამოვიდეთ, იურიდიული პირი უნდა განვიხილოთ როგორც მთელი და არა როგორც დაქუცმაცებული ცალკეულ ინდივიდუალურ პირთა სახით. ნამდვილი კოლექტიური პასუხისმგებლობა იქ არის, სადაც მთელი კოლექტივი განიცდის სამართალდარღვევის არასასურველ შედეგს არა დროებით, არამედ საბოლოოდ.

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ნორმები ან დისპოზიციურია, ან იმპერატიული, არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა კი მხოლოდ იმპერატიული ნორმებითაა რეგლამენტირებული. ნორმა დისპოზიციურია, როდესაც სუბიექტებს უფლება აქვთ თავიანთი შეხედულებისამებრ განახორციელონ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებები, მოიქცნენ სხვაგვარად ვინემ ამას სამართლის ნორმა მოითხოვს. ნორმის იმპერატიულობის შემთხვევაში კი სუბიექტები ვალდებული არიან მოიქცნენ ზუსტად ისე, როგორც ამას ნორმა მოითხოვს, დაუშვებელია სხვაგვარი მოქცევა. ამრიგად, დისპოზიციურ და იმპერატიულ ნორმებს შორის განსხვავების არსებით ნიშნად უნდა ჩავთვალოთ ის, მხარეებს შეუძლია თუ არა თავიანთ შეთანხმებებში გადაუხვიონ ამ ნორმებისაგან და დააწესონ ურთიერთშორის სხვაგვარი წესი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სამართლის ნორმით.⁷⁴

როგორც არასახელშეკრულებო, ისე სახელშეკრულებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის დადგენა ხდება იმპერატიულად ე.ი ცალკეული სახის ურთიერთობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ნორმით წინასწარაა განსაზღვრული. გამონაკლისია მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობები, რომელშიც მხარეებს ზოგჯერ დისპოზიციურად შეუძლიათ დაადგინონ პასუხისმგებლობა. სანქციის შემცირება აკრძალულია კანონის

⁷⁴ ბ.ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის, თბ.1989 , გვ. 21

იმპერატიული ნორმით. არ დაიშვება სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის შეთანხმება მათი პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ, თუ ამ სახის ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობა კანონით ზუსტადაა განსაზღვრული. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 215-ე მუხლის მეორე ნაწილი. შეზღუდული პასუხისმგებლობა ზუსტადაა განსაზღვრული კანონის იმპერატიული ნორმით სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 215-ე მუხლის პირველ ნაწილში გარკვევითაა აღნიშნული, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობა შეიძლება დადგინდეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.⁷⁵

სამართლებრივ ურთიერთობათა ცალკეულ სახეებში სხვადასხვანაირია იმპერატიულობისა და დისპოზიციურობის დონე. დისპოზიციურობის დონე მაღალია მოქალაქეთა შორის ურთიერთობებში. ამას განაპირობებს ამ ურთიერთობათა პირადი ხასიათი. ურთიერთობა მყარდება პირადი საკუთრების ობიექტთან დაკავშირებით. ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს მის საკუთრებაში მყოფი ქონება. პირადი ქონების უმიზნო განადგურება არაა გამართლებული მორალურად, მაგრამ კანონით ამას ვერ აკრძალავთ. პირის უფლებაა პირადი საკუთრების ობიექტების განკარგვა. მოქალაქეებს, როგორც სახელმწიფოებო, ისე არასახელმწიფოებო ურთიერთობებში, სრული თავისუფლება აქვთ სარჩელის წარდგენაში სამართალდამრღვევის მიმართ. მათ სრული უფლება აქვთ საქმის სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადონ მათ მიერ წარმოდგენილ სარჩელზე. არა სახელმწიფოებო ურთიერთობებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ლიდერობის შესახებ ნორმები იმპერატიულია. მის იმპერატიულობა ზიანის მიმყენებელს უფრო მეტად ეხება, ვიდრე დაზარალებულს. ზიანის მიმყენებლის "ბედს" მოქალაქეთა შორის ურთიერთობებში საბოლოოდ ფაქტიურად დაზარალებული წყვეტს. ამიტომ, ნორმის იმპერატიულობა ფაქტიურად დაზარალებულის დისპოზიციური უფლების განხორციელებას ემსახურება. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევები იმპერატიული ნორმებია, გამონაკლისია სახელმწიფოებო ურთიერთობები, რომელიც ემყარება ბრალს " იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან ხელმწიფოებო " ესეიგი ხელმწიფოებოებთან შეიძლება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დადგენა.⁷⁶

ასევე უნდა შევხვით ზარალის ანაზღაურების ინსტიტუტს. ზარალის ანაზღაურების ინსტიტუტი, როგორც სახელმწიფოებო, ისე არასახელმწიფოებო ურთიერთობებში ანომალურ მოვლენებზე რეაგირებაა. ამ გაგებით სახელმწიფოებო პასუხისმგებლობა აქტიური მოქმედების სტიმულირებას იწვევს, არასახელმწიფოებო კი- პასიურის. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოებო ურთიერთობებში ზიანის მიყენება ძირითადად უმოქმედობით

⁷⁵ იქვე, გვ. 23

⁷⁶ <https://openscience.ge/bitstream/>, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავისებურებები, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 18.06.21

ხდება, დელიქტებში კი- მოქმედებით. სახელშეკრულებო ურთიერთობებში სამართლის ნორმით დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა აქტიური მოქმედება. არასახელშეკრულებო ურთიერთობანი უშუალოდ სამართალდარღვევ იდან წარმოიშობიან, ამიტომაც პასუხისმგებლობის ამოცანაა აღმზრდელობითი ზემოქმედება მოახდინოს როგორც კონკრეტულ სამართალდარღვევებზე, ისე სხვა პირებზე, რათა მომავალში ადგილი აღარ იქნეს ზიანის მიყენების შემთხვევებს.⁷⁷

არასახელშეკრულებო ურთიერთობებისაგან განსხვავებით სახელშეკრულებო ურთიერთობებში აქტიური მოქმედების სტიმულირება უზრუნველყოფილია პირგასამტეხლოთი. პირგასამტეხლო დამატებითი ღონისძიებაა, რომელიც უზრუნველყოფს ვალდებულების რეალურ შესრულებას. პირგასამტეხლოს მასტიმულირებელი როლი გამოიხატება როგორც კონკრეტული ურთიერთობის, მისი ანალოგიური, სხვა ურთიერთობების სტიმულირებაში.⁷⁸

პასუხისმგებლობას მასტიმულირებელი როლი მხოლოდ მაშინ შეუძლია შეასრულოს, როდესაც იგი ბრალის გამო პასუხისმგებლობაა. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა უარყოფითად მოქმედებს სტიმულირებაზე. პირის მართლზომიერად მოქმედების სტიმული ეცემა, რადგანაც მან იცის, რომ როგორი მონდომებითაც არ უნდა იმოქმედოს, სულერთია, პასუხისმგებლობა მაინც დაეკისრება. დელიქტური ურთიერთობის სპეციფიკა იმაშია, რომ აქ მთელი ნორმის არსი დარღვეული ურთიერთობების აღდგენაში, პასუხისმგებლობის კომპენსაციური თუ მასტიმულირებელი ფუნქციის განხორციელებაში მდგომარეობს. სახელშეკრულებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის მასტიმულირებელ ზემოქმედებას განიცდის როგორც მოვალე, ისე კრედიტორი.⁷⁹

სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის სუბიექტებია მოქალაქე და იურიდიული პირი. იურიდიული პირი, ასევე მოქალაქეები, პასუხს აგებენ სხვა იურიდიული პირისა და მოქალაქის წინაშე სამართალდარღვევისათვის, სახელდობრ, ისინი პასუხს აგებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისა და არა სახელშეკრულებო ურთიერთობებში ზიანის მიყენებისათვის. დელიქტურ და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის საერთო პრინციპები ერთნაირი არის, ისევე, როგორც იურიდიული პირებისთვის, ასევე მოქალაქეებისთვისაც. პასუხისმგებლობის სუბიექტი ყოველთვის სამართლის სუბიექტია, სამართლის ყოველი სუბიექტი კი არაა პასუხისმგებლობის სუბიექტი- ეს თავისებურება განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება სახელშეკრულებო და

⁷⁷ <http://www.sigmaxweb.org/publications/44319767.pdf>, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 16.06.21

⁷⁸ <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-633.pdf>, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 13.06.21

⁷⁹ <https://openscience.ge/bitstream/1/1126/1/samagistro%20zarandia.pdf>, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 18.06.21

არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობაში. სამოქალაქო სამართალში სამართლის სუბიექტის ცნება დაკავშირებულია უფლებაუნარიანობასთან. მისი მქონე სუბიექტი, შეიძლება ითქვას, პასიური სუბიექტია, მაშინ როდესაც ქმედუნარიანობა მას სამართლის აქტიურ სუბიექტად აქცევს. პასუხისმგებლობის სუბიექტობისათვის მხოლოდ უფლება-უნარიანობა არაა საკმარისი, იგი ქმედუნარიანობასაც მოითხოვს. მაშასადამე, მოქალაქეებთან მიმართებაში პასუხისმგებლობის და სამართლის სუბიექტები წარმოშობის დროით არ ემთხვევიან ერთმანეთს. მოქალაქე, როგორც სამართლის სუბიექტი, პირველობის სუბიექტი რომ გახდეს, ამისათვის მან ქმედუნარიანობის ასაკს უნდა მიაღწიოს. ხოლო იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, ყოველთვის შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის სუბიექტი და პირიქით, პასუხისმგებლობის სუბიექტი ყოველთვის ნიშნავს სამართლის სუბიექტს, ამის მიზეზი ის არის, რომელი იურიდიულ პირებს ერთდროულად წარმოემობათ უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, მეც აუცილებელი კომპონენტები არა მარტო სამართლის სუბიექტად ცნობისათვის, არამედ პასუხისმგებლობის სუბიექტად აღიარებისთვისაც.⁸⁰

ცნობილია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ერთ მხარეს ჰქვია კრედიტორი, მეორეს კი მოვალე. სახელშეკრულებო ურთიერთობაში პასუხისმგებლობის სუბიექტია ნებისმიერი მხარე, რომელიც დაარღვევს ხელშეკრულებას. ასე, რომ ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს როგორც კრედიტორის, ასევე მოვალის მხრიდან. ქონებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტს სამართალსუბიექტობაც უნდა ახასიათებდეს. სამართალსუბიექტობა- ესაა უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ერთიანობა, თავის მხრივ, როგორც უფლებაუნარიანობა, ასევე ქმედუნარიანობა სამართალსუბიექტობის გამოვლენაა. არ შეიძლება უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის გაიგივება.⁸¹

იმისათვის, რომ პირის სამოქალაქო სამართლის სუბიექტი იყოს, საკმარისია უფლებაუნარიანობა, რამდენადაც სამართალსუბიექტობა მოითხოვს ქმედუნარიანობას. ამდენად, სრული არაა ქმედუნარიანობის და ნაწილობრივი ქმედუნარიანობის მქონე პირების სამართალსუბიექტობა უზრუნველყოფილია მათს უფლებაუნარიანობაზე. დელიქტუნარიანობა არის პირის უნარი, იკისროს დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა ჩადენილი სამართალდარღვევისათვის (დელიქტისათვის). პირი დელიქტუნარიანია 15 წლის ასაკიდან. არაქმედუნარიანი პირი გამორიცხულია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტთა წრიდან. მათ მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებელი სუბიექტები არიან მათი მშობლები, მეურვეები. რაც შეეხება ნაწილობრივი ქმედუნარიანობის მქონე პირს, დელიქტუნარიანი პირის და პასუხისმგებლობის

⁸⁰ ბ.ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის, თბ.1989 , გვ. 21

⁸¹ ბ.ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის, თბ.1989 , გვ. 22

სუბიექტიც შეიძლება იყოს. თუმცა მასთან ერთად ზოგჯერ მშობლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა. სასამართლოები ხშირად ამ უკანასკნელის განმარტავდნენ როგორც სოლიდარულს. ფაქტობრივად ეგ მხოლოდ სუბსიდიალურ პასუხისმგებლობა აქვს ადგილი. ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ მცირეწლოვნებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სოლიდარული წესით დაეკისროს, როგორც ზიანის უშუალო მიმყენებელს, ასევე დაზარალებულის მშობლებს, მეურვეს, რომელთაც ბრალი მიუძღვით მათზე არასათანადო მეთვალყურეობაში.⁸²

4.2 პასუხისმგებლობა მესამე პირის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის

ზოგჯერ რამდენიმე პირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობათა თავისებურება განსაზღვროს ერთის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების გამო მეორის პასუხისმგებლობას. მაგალითად, 396-ე მუხლის თანახმად, " მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლისა და იმ პირის ქმედებისათვის, რომელსაც იგი იყენებს თავისი ვალდებულების შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს". პირის პასუხისმგებლობა მის მიერ დაქირავებული, ანუ მის კონტროლს სხვაგვარად დაქვემდებარებული პირების ქმედებებისათვის ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია. პოტიე, შუა საუკუნეების ცნობილი ფრანგი იურისტი, რომლის ნაშრომებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსზე, წერდა, რომ პირს აუცილებლად უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა მსახურების შერჩევისათვის,⁸³ რაც თავისთავად გულისხმობს ამ პირის მიერ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც ცუდად შერჩეული მსახურის ქმედების შედეგად დადგა. სხისი ბრალეული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს პასუხისმგებელი პირის რეგრესული მოთხოვნის არსებობას უშუალოდ ზიანის მიმყენებლის მიმართ.⁸⁴

მაგალითად: სამშენებლო კომპანიის მიერ დაქირავებულმა მუშამ მშენებარე ობიექტის მეხუთე სართულიდან სითხე გადაღვარა, რომელიც იქვე ფეხით გამვლელ ადვოკატს გადაესხა და ძვირად ღირებული კოსტიუმი გაუფუჭა ისე, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი გახდა. ამ შემთხვევაში დაზარალებული ადვოკატის მოპასუხე სასამართლოში სამშენებლო კომპანია იქნება, თუმცა ეს არ გამორიცხავს სამშენებლო კომპანიის უფლებას, მოსთხოვოს მუშას იმ თანხის ანაზღაურება, ამ უკანასკნელის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად კომპანიამ ადვოკატს უნდა გადაუხადოს.

⁸² იქვე, გვ. 24

⁸³ Giliker, Vicarious Liability in Tort: A Comparative Perspective, 2010. 231 .

⁸⁴ დ. სუხიტაშვილი, სახელმწიფო სამართალი, თბ. 2014 წ. გვ. 70

განსაზღვრული სახის ვალდებულების შესრულებისას მესამე პირის ნაცვლად პასუხისმგებლობის ინსტიტუტს, ქართული სამართლის მსგავსად, იცნობს რომანული, გერმანული და ანგლოამერიკული სამართლებრივი სტილის მქონე მართლწესრიგი. ძირითადად შეიძლება გამოიყოს სამი წინაპირობა, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია იმისათვის, რომ პირმა პასუხი აგოს მესამე პირის ნაცვლად. პირველ რიგში, სახეზე უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, მესამე პირსა და ბრალეულ პირს შორის უნდა არსებობდეს სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობა და ბრალეული პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება კავშირში უნდა იყოს ამ უკანასკნელის მიერ ზემოაღნიშნული სპეციფიკური ურთიერთობიდან გამომდინარე. ყველაზე ხშირად ზიანის მიმყენებულსა და ამ ზიანისათვის პასუხისმგებელ პირს შორის არსებულ "სპეციფიკურ ურთიერთობად" გვევლინება ვალდებულებად დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის.⁸⁵ უმრავლეს შემთხვევაში დამსაქმებელი განსაზღვრავს დასაქმებულის მოქმედების ფარგლებს და აქვს მისი კონტროლის ფაქტობრივი და სამართლებრივი შესაძლებლობა. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. იგი გარკვეულწილად ასრულებს პრევენციულ ფუნქციასაც. ასეთი პასუხისმგებლობის არსებობა ავალდებულებს დამსაქმებლებს, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდონ თანამშრომლების მიერ საქმიანობის განხორციელებას, რათა მესამე პირებს ზიანი არ მიადგეს. მსოფლიო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც დაზარალებულს ენიჭება მოპასუხეების არჩევის უფლება. მას ეძლევა შესაძლებლობა ურჩვლოს დამსაქმებელს ან მოსთხოვოს ანაზღაურება დასაქმებულსა და დამსაქმებელს სოლიდარულად. მესამე პირთა წრე, ვისაც შეიძლება სხვა პირის ქმედებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს, დამსაქმებლებით არ შემოიფარგლება. ევროპულ დოქტრინასა და პრაქტიკაში ასევე გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმადაც, მასწავლებლებს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მოსწავლეების იმ ქმედებისათვის, რომელიც ამ უკანასკნელთა სკოლაში ყოფნის დროს არის ჩადენილი, თუ დამტკიცდება, რომ უარყოფითი შედეგი მასწავლებელთა მხრიდან არასათანადო ყურადღებისა და გულისხმიერების გამოჩენაა. პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუკი დამტკიცდება, რომ გულისხმიერების ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაშიც კი, მზიანი მაინც დადგებოდა.⁸⁶

ამ შემთხვევაში იმ მასწავლებლებზე პასუხისმგებლობის გავრცელების სამართლებრივი საფუძველია მათი ბრალეული ქმედება, რომელიც წინდახედულობის ნორმების უგულებელყოფაში გამოიხატება და ცხადია ძირითადად გაუფრთხილებლობის ფორმით არსებობს. თუ სახეზე განზრახვა გვექნება, მაშინ გამოდის, რომ მასწავლებლები " იარაღად "

⁸⁵ Giliker, *Vicarious Liability in Tort: A Comparative Perspective*, 2010. 22 .

⁸⁶ Giliker, *Vicarious Liability in Tort: A Comparative Perspective*, 2010. 31 .

მოსწავლეებს იყენებდნენ და უკანასკნელნი მხოლოდ მათი ნების აღმსრულებლები იყვნენ. ამ შემთხვევაში მასწავლებლები ასევე ჩაითვლებიან ზიანის უშუალო მიმყენებელებად და მათზე მესამე პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული რეგულირება არ გავრცელდება. მესამე პირის ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახედ ასევე განიხილავენ მშობლების ვალდებულებას, ანაზღაურებს მცირეწლოვანი (ქმედუუნარო) შვილების მიერ მიყენებული ზიანი. ამ შემთხვევაში გარკვეული სამართლებრივი პარალელები დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობიდან დასაბუთებულად ჟღერს. მშობელი, ისევე, როგორც დამსაქმებელი, ვალდებულია აკონტროლოს თავისი უფლებამოსილების ქვეშ მყოფი მცირეწლოვნის საქციელი და უზრუნველყოს გარშემო მყოფთა დაცვა მისი უარყოფითი შედეგის მომტანი ქმედებისაგან. ამ ნიშნით მშობლების პასუხისმგებლობა მართლაც შეგვიძლია განვიხილოთ მესამე პირის ნაცვლად პასუხისმგებლობას. შვილის ქმედუუნარობა არ გამორიცხავს მის სამართალსუბიექტურობას და კანონი დაბადებიდანვე აღიქვამს უფლებებისა და მოვალეობების სრულფასოვან ადრესატად, მისი ასაკისა და გონებრივი განვითარების დონის მიუხედავად.⁸⁷

4.3 წილადი, სოლიდარული და სუბსიდიური პასუხისმგებლობა

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურების, პირგასამტეხლოს დაკისრების, ფულადი ვალდებულებების დარღვევისათვის კი პროცენტის დაკისრებით, თუმცა აქედან მნიშვნელოვანია ზიანის ანაზღაურება, რადგანაც ის გამოიყენება, როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ვალდებულებათ დარღვევის დროს. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს მოვალის მხარეზე შეიძლება იყოს რამდენიმე ზიანის მიმყენებელი პირი. ამის მიხედვით ერთმანეთისგან განასხვავებენ წილად, სოლიდარულ და სუბსიდიურ პასუხისმგებლობას.⁸⁸

✓ წილადი პასუხისმგებლობის დროს თითოეულ მოვალეს ეკისრება პასუხისმგებლობა კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული წილის შესაბამისად. მაგ: მემკვიდრეები პასუხს აგებენ მამკვიდრებლის ვალზე თავიანთი წილის შესაბამისად. თითოეული კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს შესრულება მხოლოდ თავისი წილის ფარგლებში და თითოეული მოვალე ვალდებულია შეასრულოს მხოლოდ თავისი წილის ფარგლებში. მაგ: გარდაიცვალა “A”, რომელსაც დარჩა სამკვიდრო 50.000 ლარის ოდენობის და ამავდროულად “B”-ს მიმართ ვალდებულება 20.000 ლარის ოდენობით. „A“-ს სამკვიდრო გადავიდა მის პირველი რიგის

⁸⁷ ზ. ძლიერაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ. 2014 წ, გვ. 153

⁸⁸ http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_11_vald.samartali.pdf, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 11.06.21

მემკვიდრეებზე „C“ და „D“-ზე, თითოეულმა მიიღო 25.000 ლარის ოდენობის სამკვიდრო. მოცემულ შემთხვევაში მათ გააჩნიათ წილადი ვალდებულება „A“-ს მოვალის მიმართ, მიღებული სამკვიდროს ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად, ანუ თითოეულის ვალდებულების მოცულობა შეადგენს 10.000 ლარს. მოცემულ შემთხვევაში თითოეული მოვალის ვალდებულება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, მაგ: თუ „C“-მ ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება, „B“ ვერ მოითხოვს მისი ვალდებულების „D“-სგან შესრულებას.⁸⁹

✓ **სოლიდარული პასუხისმგებლობის** დროს კრედიტორს უფლება აქვს თითვეულ მოვალეს წარუდგინოს მოთხოვნა მიყენებული ზიანის როგორც სრული მოცულობით, ასევე ნაწილის ანაზღაურებაზე. სოლიდარული პასუხისმგებლობა დგება კანონით ან ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.⁹⁰

სოლიდარული პასუხისმგებლობა გამომდინარეობს პირთა სოლიდარული ვალდებულებიდან. იურიდიულ ლიტერატურაში სოლიდარული ვალდებულება განიმარტება, როგორც შემთხვევა, როდესაც „რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.“¹⁷⁶ სოლიდარულობა ვლინდება როგორც კრედიტორთან ურთიერთობაში, ასევე ერთმანეთთან მიმართებაში. ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ სოლიდარულ მოვალეთაგან ნებისმიერს შეუძლია მთლიანად დაფაროს კრედიტორის მოთხოვნა, თუმცა ამის შემდეგ, ამ საერთო ვალდებულებით გამოწვეული მათი ზარალი, მათ შორის თანაბრად უნდა განაწილდეს და დანარჩენი მოვალეები, ვალდებულნი იქნებიან შემსრულებლის წინაშე თანაბრად, შემსრულებლის წილის გამოკლებით. სოლიდარული ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას, როგორც ხელშეკრულების, ვალდებულების საგნის განუყოფლობით, ასევე კანონის საფუძველზე. ამ უკანასკნელის მაგალითია დელიქტურ სამართალში სოლიდარული პასუხისმგებლობის შემთხვევა, როდესაც ზიანი რამდენიმე პირმა გამოიწვია ერთობლივად.⁹¹

ერთიანი სამართლებრივი საფუძველი არაა აუცილებელი იმისათვის, რომ სოლიდარული ვალდებულება წარმოიშვას.¹⁷⁹ ეს იმას ნიშნავს, რომ პირები, კრედიტორის მიმართ, სოლიდარული მოვალეები შეიძლება გახდნენ სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით, რომელმაც წარმოშვა ერთიანი ზიანი. მაგალითად, ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ნაშრომში განსახილველ საკითხთან მიმართებაში, კერძოდ დირექტორი და პარტნიორი, რომელთა ერთობლივმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამაც საწარმოსათვის წარმოშვა ზიანი,

⁸⁹ <https://blh.com.ge/forums/> (უკანასკნელად ნანახი იქნა), 16.06.21

⁹⁰ <https://blh.com.ge/forums/> (უკანასკნელად ნანახი იქნა), 16.06.21

⁹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი.

საწარმოს წინაშე არიან ვალდებულები ამ ზიანის ანაზღაურებაზე ერთობლივად, ანუ სოლიდარულად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი პირი, პასუხისმგებელი იყო სხვადასხვა სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, მათ აერთიანებდათ საერთო ნიშანი - ერთობლივი მართლსაწინააღმდეგო ქმედება - გადასახადებისათვის თავის არიდების ერთობლივად განხორციელება, რამაც კრედიტორს მიაყენა ზიანი. თუ კი პარტნიორის პასუხისმგებლობა წარმოიშვებოდა გადასახადებისათვის თავის არიდების საფუძველიდან, ხოლო დირექტორის პასუხისმგებლობა კონკურენციის აკრძალვის პრინციპის დარღვევიდან, მაგალითად, მაშინ, ამ ორ შემთხვევას არაფერი ექნებოდა ერთმანეთთან საერთო და საწარმოს მოთხოვნა, თითოეულის მიმართ, დამოუკიდებელი იქნებოდა.⁹²

წილადი ვალდებულებისგან განსხვავებით, სოლიდარული კრედიტორის მოთხოვნა აღიქმება ყველა სოლიდარული კრედიტორის მოთხოვნად და შესაბამისად, სოლიდარული მოვალის ვალი- ყველა სოლიდარული მოვალის ვალად. მიღებულია სოლიდარული ვალდებულების სამი სახე : აქტიური სოლიდარული ვალდებულება მაშინაა, როცა მხოლოდ მოთხოვნის უფლების მხარეზეა პირთა სიმრავლე, პასიური – როცა, მხოლოდ სავალო ვალდებულების მხარეზეა პირთა სიმრავლე, შერეული სოლიდარული ვალდებულება გვაქვს მაშინ, როცა პირთა სიმრავლეს ერთდროულად ადგილი აქვს, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეზე. სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველებია:

ა) ხელშეკრულება – სოლიდარული უფლებამოსილება შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერი ხელშეკრულებით, თუ ურთიერთობის ბუნება არ ეწინააღმდეგება სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობის შესაძლებლობას.

ბ) კანონი – საანდერძო დანაკისრი (სკ-ის 1383), როდესაც მამკვიდრებელი საანდერძო დანაკისრით ავალებს შემკვიდრეს, რომ მან თავის სამ მეგობარს გადასცეს 9000\$. სამივე მათგანს წარმოეშობა სოლიდარული უფლებამოსილება.

გ) ვალდებულების საგნის განუყოფლობით – როგორც სანივთო, ისე ვალდებულებით ურთ-ში. მაგ: ვინმემ დააზიანა რამდენიმე პირის თანასაკუთრებაში არსებული ნივთი, ასეთ ვითარებაში თითოეულ მათგანს წარმოეშობა სოლიდარული უფლებამოსილება.⁹³

✓ **სუბსიდიური პასუხისმგებლობა**, როდესაც ერთი პირის ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სხვა პირს, მათ შორის არსებული სპეციფიკური ურთიერთობიდან გამომდინარე. მაგ. ბავშვის ქმედებისათვის მშობლის პასუხისმგებლობა, დასაქმებულის ქმედებისათვის დამსაქმებლის პასუხისმგებლობა, მძღოლის ქმედებისათვის ავტომობილის მესაკუთრის პასუხისმგებლობა და ა.შ.

⁹² <https://blh.com.ge/forums/> (უკანასკნელად ნანახი იქნა), 16.06.21

⁹³ <https://blh.com.ge/forums/> (უკანასკნელად ნანახი იქნა), 15.06.21

დასავლეთ ევროპის იურიდიულ ლიტერატურაში სუბსიდიური პასუხისმგებლობა განმარტებულია როგორც შემთხვევა, როდესაც პირი პასუხს აგებს სხვა პირის მიერ ჩადენილი უმართლობისათვის.⁹⁴

სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვანია სუბსიდიური პასუხისმგებლობა, ვინაიდან ამ დროს საკითხი ეხება არასრულწლოვანის პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანისათვის. აქ ბევრი საკითხი ბუნდოვანია და შესაბამისად ჩნდება კითხვები. აგებს არასრულწლოვანი პირი პასუხს მიყენებული ზიანისათვის? ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არ აქვს საკმარისი ქონება ანშემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც. (სსკ-ის 994-ე მუხლი).⁹⁵

⁹⁴ Cooke J., Law of Tort (Fifth Edition), 333.

⁹⁵ <https://openscience.ge/bitstream/1/989/1/samagistro%20lafanashvili.pdf>, (უკანასკნელად ნანახი იქნა), 03.06.21

თავი V. კვლევის შედეგები

კვლევის ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის მეშვეობით, რომელთა საბოლოო ანალიზითაც მივედით შედეგებამდე. დასაწყისში სწორედ ამ გამოყენებულ ლიტერატურას მიმოვიხილავთ. შემდეგი თავი ეხება სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცნების განმარტებასა და პასუხისმგებლობის საფუძვლებს.

მომდევნო თავში განხილული პასუხისმგებლობის ცნებასა და მნიშვნელობას, მოსდევს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებები, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით გამოწვეული ზიანის დროს, მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის ფორმები.

შემდეგ თავში განხილულია პასუხისმგებლობა ცალკეული სამართლდარღვევისთვის, როგორც ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, ასევე ასევე სადაზღვევო პასუხისმგებლობისთვისაც.

საუბარი ასევე არის პასუხისმგებლობის სხვა სახეებზე, სადაც თეორია განმტკიცებულია მაგალითებით, წილადი, სუბსიდიური და სოლიდარული პასუხისმგებლობები, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა, მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნებით, ასევე პასუხისმგებლობა მესამე პირის მოქმედებისათვის.

როგორც მოცემულ თავებში ვნახეთ, თუ როგორ წესრიგდება ეს პრობლემები და რა პასუხისმგებლობები ეკისრებათ, თითოეული ასპექტის დაუცველობაში, რომელიც გამყარებულია ლიტერატურითა და მაგალითებით.

დასკვნა

ამრიგად, ნაშრომში განმარტებულ იქნა პასუხისმგებლობის ცალკეული სახეები სამოქალაქო სამართალში, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცნება, პასუხისმგებლობის საფუძვლები და პირობები, პასუხისმგებლობა ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, სადაზღვევო პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობის სხვა სახეები, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა, მათი ერთიანობა და განმასხვავებელი ნიშნები, პასუხისმგებლობა მესამე პირის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის, ასევე წილადი, სოლიდარული და სუბსიდიური პასუხისმგებლობა.

საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, დღითიდღე იზრდება სუბიექტების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებებისა და დელიქტით მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობის მნიშვნელობა სხვა პირებისათვის. პასუხისმგებლობის სამართალი, არის კერძო სამართლის განუყოფელი ნაწილი, რომელიც ემსახურება საზოგადოების ურთიერთობის მოწესრიგებას და აღდგენას მათსავე ურთიერთობაში დარღვეული ქმედებებით. ყველა პირი, რომელიც ზიანს მიაყენებს სხვას, ვალდებულია პასუხის აგოს საკუთარ ქმედებებზე, თუმცა ხშირ შემთხვევაში რთულია ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის არიდების მცდელობის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო.

აქედან გამომდინარე, როგორც დავინახეთ, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა სრულყოფილად არ აწესრიგებს ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად დამდგარ პასუხისმგებლობის ფორმებთან დაკავშირებულ საკითხებს. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტურ) ურთიერთობებში მხოლოდ „ზიანის“ ტერმინს ვხვდებით და ბუნდოვანი რჩება ზარალის ანაზღაურების საკითხი. ასევე არ შეიძლება არ ვთქვათ და რამდენიმე სიტყვით არ შევხვით პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ პირობას - ბრალს, რომლის განმარტების შესახებაც სამოქალაქო კოდექსში არაფერი გვხვდება. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი ბრალს არ განმარტავს და ყურადღებას მხოლოდ მის ფორმებზე (განზრახვა და გაუფრთხილებლობა) ამახვილებს. შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრებისას ბრალს სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებული ბრალის მიხედვით განსაზღვრავენ. ჩემი აზრით, ეს საკითხი მოწესრიგებას იმსახურებს. მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართალში ბრალის განმარტება მოხდეს საკანონმდებლო დონეზე და იგი გაიმიჯნოს სისხლის სამართალში არსებული ბრალისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. ავტორთა კოლექტივი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2008.
2. ავტორთა კოლექტივი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბ., 2001.
3. ავტორთა კოლექტივი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2019.
4. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ. 1999.
5. ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ. 1998.
6. სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ. 2016.
7. ნაჭყებია გ., ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ.2001.
8. ავტორთა კოლექტივი, გიორგი ჯუღელის რედაქტორობით, სახელშეკრულებო სამართალი (სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის), თბ. 2014.
9. ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი N1, 2009.
10. გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნალი სამართალი, N10,11,12, 2000.
11. ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტომი 2, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, თბ. 2011.
12. ჭანტურია დ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2001.
13. ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, სამართლის ჟურნალი, N1, , 149 და 151, თბ. 2009.
14. დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა. სამართლის ჟურნალი N1 , 52. თბ. 2009.
15. ძლიერაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ. 2014.

ნორმატიული მასალა:

16. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

უცხოური ლიტერატურა:

17. თოდუა მ., ვალემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ. 2006
18. Giliker, Vicarious Liability in Tort: A Coparative Perspective, 2010.

ვებ. გვერდები:

19. <https://legalclinic.iliauni.edu.ge/>, სესხის ხელშეკრულება და ფორმის დაუცველობის სამათლებრივი შედეგები.
20. <https://forbes.ge/qarthuli-phulis-istoria/>, ქართული ფულის ისტორია.
21. <https://finedu.gov.ge/storage/>, ფულის ნიშნები.
22. <http://geoeconomics.ge/?p=13363>, ინფლაციის არსი და მისი დღევანდელი ტენდენციები საქართველოში
23. https://idfi.ge/ge/reasons_for_lari_devaluation, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).
24. <https://openscience.ge/bitstream/>, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის.